ვერსია

№41 (1583) 10-16 ნოემბერი ოთხშაბათი 2021 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.versia.ge

ცნობილი ქართველი „კანონიერი ქურდის“ შვილს ქურდის ტიტული ჩამოართვეს

დიდი კრიმინალური „სხადნიაკი“ თურქეთში

არჩილ გამგზარდია: „ეს ნერვების ომია!“

რატომ მოიქცა ნიკა მელია გონივრულად და დააყენებეს თუ არა საპატრიარქო მიხეილ სააკაშვილის შეწყალების შუამდგომლობას

გაძვირებული ცხოვრების ანატომია – გვემუქრება თუ არა შიმშილი

გაერო-ს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის საგანგაშო კვლევა

გაძვირდება თუ არა გაზი მოსახლეობისთვის

ენერგეტიკული თამაშები და სემეკის სპეციალური განცხადება

სად არიან სალხინოს მონასტრიდან გამოყრილი ბერები – ექსკლუზიური დეტალები

„გაიხრწნა მთელი საპატრიარქო“ – სკანდალური ინტერვიუ დედა სოსანასთან

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

რას მიიჩნევდა ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძისა და მიხეილ სააკაშვილის ისტორიულ მისიად გელა ჩარკვიანი



ვისთან ენატრებოდა ლაპარაკი და რას ამბობდა გარდაცვალებამდე ხუთი წლით ადრე – ინტერვიუ არქივიდან

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ესპანეთის სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობით, ბარსელონაში მასშტაბური სპეცოპერაცია ჩატარდა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის მიზნით, ევროპის ქვეყნებში წარგზავნილი პოლიციის ატაშეების მეშვეობით, კვლავ აქტიურად განაგრძობს თანამშრომლობას ევროკავშირის წევრი ქვეყნების სამართალდამცავ უწყებებთან.

მიმდინარე წლის 20 ოქტომბერს, ქალაქ ბარსელონაში ჩატარდა მასშტაბური სპეცოპერაცია, სახელწოდებით – „ბანუს". სპეცოპერაციას წინ უძღოდა ესპანეთის სამეფოს კატალონიის ავტონომიური პოლიციის ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ბრძოლის დანაყოფის, ესპანეთის სამოქალაქო გვარდიისა და ესპანეთის სამეფოში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის პოლიციის ატაშეს თანამშრომლობით დანაშაულის გამოვლენის, ზემოთ აღნიშნული ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების, ასევე, მათი კავშირების დადგენისა და ოპერაციის დაგეგმვის მიზნით განხორციელებული ერთწლიანი ინტენსიური ოპერატიულ-საგამოძიებო სამუშაოები.

ესპანელმა სამართალდამცველებმა, სპეცოპერაციის შედეგად, კრიმინალური დაჯგუფების წევრები – 9 პირი დააკავეს, მათ შორის, საქართველოს 8, ერთი კი რუსეთის ფედერაციის მოქალაქე.

მათ ბრალად ედებათ ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსის 237-ე და 570-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები, რაც გულისხმობს ესპანეთის სამეფოს ტერიტორიაზე ჩადენილ ბინების ქურდობას, ასევე, კრიმინალურ-დანაშაულებრივი ჯგუფის წევრობას, რაც 5 წლამდე ვადით პატიმრობას ითვალისწინებს.

მოსამართლის განჩინების საფუძველზე გაიჩხრიკა დაკავებულების საცხოვრებელი 7 ბინა.

ბრალდებულები სასამართლოს წინაშე 22 ოქტომბერს წარსდგნენ.

ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გამოყენების ფაქტზე ერთი პირი პასუხისგებაში მისცეს

საგამოძიებო სამსახურმა ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გამოყენების ფაქტზე აჭარაში ერთი პირი პასუხისგებაში მისცა, – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის პირველი და 180-ე მუხლის მე-3 ნაწილებით მიმდინარეობს. „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, აჭარის რეგიონში, ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გამოყენების და სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში ერთი პირი მისცეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, მისი ფაქტობრივი მართვის ქვეშ მყოფი ორი კომპანიის სახელით, ურთიერთშორის ფიქტიურად გაწერა ჯამში 1 079 560 ლარის ღირებულების სამშენებლო/სარემონტო მომსახურების ამსახველი ყალბი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები, რა გზითაც მისსავე კომპანიას შეუქმნა ჯამში 164 678 ლარის ოდენობის ყალბი აქტივი, შედეგად, თაღლითურად დაეუფლა 13 584 ლარს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის პირველი და 180-ე მუხლის მე-3 ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით", – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დიდი ოდენობით არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობების შემოტანის ფაქტი აღიკვეთა

საბაჟო გამშვებ პუნქტში ,,თბილისის აეროპორტი", დიდი ოდენობით არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობების შემოტანის ფაქტი აღიკვეთა. ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

უწყების ცნობით, საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 40 682,25 ლარი შეადგინა.

„საბაჟო გამშვებ პუნქტში „თბილისის აეროპორტი", ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრების მიერ, ეჭვის საფუძველზე, საქართველოს მოქალაქის ე.ს.-ს როგორც კუთვნილი ბარგის, ასევე, ფიზიკური დათვალიერების შედეგად, 387,45 გრამი, არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები გამოვლინდა.

საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 40 682,25 ლარი შეადგინა.

საქმე, შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა", – ნათქვამია ინფორმაციაში.

დიდი ოდენობით სხვისი ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე რუსეთის მოქალაქე დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა დიდი ოდენობით სხვისი ქონების მოტყუებით დაუფლებისა და ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი ყალბი დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ფაქტზე რუსეთის მოქალაქე დააკავეს.

უწყების ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, სხვა პირების დახმარებით, ქ. თბილისში მდებარე, ერთ-ერთი კომპანიის საკუთრებაში რიცხული, ჯამში 47 800 კვ/მ მოცულობის ორი მიწის ნაკვეთის თაღლითურად დაუფლების მიზნით, გააყალბა აღნიშნული კომპანიის წილის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც გახდა მისი ერთპიროვნული დირექტორი და დამფუძნებელი, რის შემდგომაც მიწის ნაკვეთები გადააფორმა თავისსავე სახელზე რეგისტრირებულ სხვა კომპანიაზე.

როგორც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში განმარტავენ, დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის შემდგომ, ბრალდებული გეგმავდა მიწის ნაკვეთების იპოთეკით დატვირთვას 200 000 აშშ დოლარამდე თანხის დაუფლების მიზნით, რა დროსაც მოხდა მისი დაკავება.

გამოძიების პროცესში მიწის ნაკვეთებს დაედო ყადაღა.

წინასწარი მონაცემებით, მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულება აღემატება 16 000 000 ლარს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 და 210-ე მუხლის პირველი ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით.

გრძელდება შესაბამისი ღონისძიებები, აღნიშნული დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილე სხვა პირების დადგენა-მხილების მიზნით.

სომხეთში 3 წლის ბავშვი გაყიდეს

სომხეთში 3 წლის ბავშვი გაყიდეს, – ინფორმაციას სომხური მედია ავრცელებს. გამოცემის ცნობით, ბავშვის გაყიდვის საქმესთან კავშირში მყოფი 5 პირია გამოვლენილი, რომელთა შორის ერთი ადვოკატია.

ბრალდების მხარე მათ მძიმე მუხლით ედავება, რომელიც გულისხმობს ბავშვის ყიდვას მეურვეობის მიღების მიზნით ან ბავშვის გაყიდვას მეურვეობის მიმღები პირისთვის ბავშვის გადაცემის მიზნით.

სისხლის სამართლის საქმეზე ჯერ არავინაა დაკავებული. ერევნის სასამართლო მცირეწლოვნის გაყიდვის საქმის განხილვას 18 ნოემბერს დაიწყებს.

რას მიიჩნევდა ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძისა და მიხეილ სააკაშვილის ისტორიულ მისიად გელა ჩარკვიანი



ნინო დოლიძე

82 წლის ასაკში, ცნობილი ქართველი დიპლომატი, მწერალი და პუბლიცისტი, გელა ჩარკვიანი გარდაიცვალა. ბატონ გელას ზუსტად ხუთი წლის წინ შევხვდი და თითქმის საათი ვილაპარაკეთ. მახსოვს, პოლიტიკაზე საუბარს გაურბოდა, მაგრამ მითხრა, ყველას, ვინც ხელისუფლებაში მოდის, თავისი ისტორიული მისია აქვს: თუკი ზვიად გამსახურდიას მისია ეროვნული მუხტის გაღვივება და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იყო, ედუარდ შევარდნაძეს ქვეყნის ქაოსიდან გამოყვანა დაეკისრა, მიხეილ სააკაშვილს კი – ძალაუფლების ზეცენტრალიზაცია და ამ გზით მოდერნიზაციისკენ ნახტომის გაკეთებაო... ისე, ძალიან საინტერესო მოსაუბრე და ზომიერად ლიბერალი გახლდათ. „ზომიერი ლიბერალობა“ რა არის? – ამ კითხვაზე პასუხი რომ მიიღოთ, გთავაზობთ ინტერვიუს „ვერსიის“ არქივიდან პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ყოფილი მრჩევლის, მიხეილ სააკაშვილის ყოფილი პრესსპიკერის, დიდ ბრიტანეთში საქართველოს ყოფილი ელჩისა და საქართველოს ცეკა-ს ყოფილი პირველი მდივნის, კანდიდ ჩარკვიანის ვაჟთან, გელა ჩარკვიანთან.

ვისთან ენატრებოდა ლაპარაკი და რას ამბობდა გარდაცვალებამდე ხუთი წლით ადრე – ინტერვიუ არქივიდან

– ბატონო გელა, სატელეფონო საუბრისას, შეხვედრაზე რომ შევთანხმდით, მითხარით, იცოდეთ, მიმდინარე პოლიტიკაზე არ ვლაპარაკობო. ასეთი გადაწყვეტილება რატომ მიიღეთ?

– რატომ და, ინტერესი არ მაქვს, ყველაფერს თვითონ გაარკვევენ.

– ეს გასაგებია, მაგრამ ქვეყანაში მიმდინარე პროცესები, მაგალითად, ის, რომ ლარი უფასურდება და ცხოვრება ძვირდება, როგორც მოქალაქეს, თქვენც გეხებათ...

– იცით, რა არის? – ხომ ხედავთ, იგივე სოციალურ ქსელში რამდენი სიძულვილია და ხალხი ერთმანეთზეა გადაკიდებული. საერთოდ, მრავალპარტიულმა სისტემამ ეს იცის და ასე მხოლოდ ჩვენთან არ ხდება. უბრალოდ, საქართველო ახალი სახელმწიფოა, ადამიანები მრავალპარტულობას შეჩვეულები არ არიან და ამდენად, ყველაფერი ეს უფრო დაძაბულია... პითაგორას აქვს ნათქვამი, ხალხი შეიძლება ისე დაჰყო, როგორც ოლიმპიურ თამაშებზე დამსწრეები: ზოგი იმიტომ მიდის, რომ რაღაც იყიდოს და გაყიდოს, ზოგი საბრძოლველად, ზოგიც კი ყველაფერ ამის საყურებლადო. მე სწორედ ხალხის ამ მესამე კატეგორიაში ვარ, ყოველ შემთხვევაში, ასაკის თვალსაზრისით. თვალს, რასაკვირველია, ვადევნებ, მაგრამ მიმდინარე პოლიტიკაზე იმიტომ არ ვლაპარაკობ, რომ არ მინდა, რაღაც დამოკიდებულება ვაჩვენო...

– ისე, ბატონო გელა, აქტიური პოლიტიკური განცხადებებით, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ თანამდებობებზე იყავით, არც ადრე გამოირჩეოდით...

– პოლიტიკაში არასოდეს ვყოფილვარ! პოლიტიკა ისეთი სფეროა, სადაც ძალაუფლებისთვის ბრძოლა აუცილებელია, მაგრამ როცა პრეზიდენტის მრჩეველი ხარ, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ძალაუფლებისთვის იბრძვი. უბრალოდ, პროფესიულ საქმიანობას ეწევი და პოლიტიკოსი კი არა, მოხელე ხარ! ადამიანი პოლიტიკოსი მაშინაა, როცა არჩევით თანამდებობაზე მიდის ან პარტიას ქმნის და უნდა, რომ პოლიტიკურ ბრძოლაში გაიმარჯვოს.

– მართალია, ბავშვობიდან პარტიულ გარემოცვაში იზრდებოდით, მაგრამ უფრო მეტი თავისუფლება გქონდათ. ამას როგორ ახერხებდით?

– მეტი თავისუფლება რატომ მქონდა?.. სხვათა შორის, ჩემს თავს ზომიერ ლიბერალს ვეძახი.

– „ზომიერი ლიბერალი“ რას ნიშნავს?

– ზომიერი ლიბერალისთვის ზოგიერთი რაღაც მიუღებელია. მაგალითად, მიმაჩნია, რომ სიკვდილით დასჯა, განსაკუთრებულ შემთხვევებში, მისაღებია!

– ამ თემაზე ლაპარაკს არ ვაპირებდი, მაგრამ მიხეილ სააკაშვილთან, რომელზეც ამბობენ, ციხეში გადაღებულ წამების კადრებს უყურებდა და ამით სიამოვნებას იღებდაო, ბავშვობიდან ახლო ურთიერთობა გაქვთ – თქვენი მოწაფე იყო...

– ამას ვინ ამბობს? – არ გამიგია!..

– 2012 წელს, როცა ე.წ. ციხის კადრები ნახეთ, როგორი რეაქცია გქონდათ?

– რასაკვირველია, – საშინელი და ძალიან მძიმე. საერთოდ, ადამიანის ცემას და, მით უმეტეს, წამებას როგორ შეიძლება შეურიგდე! სხვათა შორის, ბოლო 15 წლის განმავლობაში, თბილისში ჩხუბი არ მინახავს, ჩემს ბავშვობაში კი, ქუჩაში ჩხუბი ხშირად იყო – მახსოვს, ერთხელ, მოსკოვში ვუყურე, რვამ ერთი კაცი როგორ სცემა.

– რაკიღა ძალადობაზე ვსაუბრობთ, ამ კონტექსტში, ალბათ, 17 მაისიც უნდა გავიხსენოთ, როცა „რუსთაველზე“ ხალხი „ტაბურეტკებით“ დარბოდა და ვერ გაიგებდი, ვინ ვის ურტყამდა. ეს რაღა მოვლენაა?

– ეს საქართველოს „უნიკალური თვისება“ არაა და მსგავსი რაღაცები, როგორც გითხარით, ყველგან ხდება. მთელ მსოფლიოში წააწყდებით კონსერვატიულ უმცირესობას ან უმრავლესობას, მათ შორის, ჰომოფობიურსაც, რომელიც აუცილებლად რომელიმე ჯგუფს უპირისპირდება.

– მაშასადამე, არ ფიქრობთ, რომ ყველაფერი ეს, თუნდაც რუსული სპეცსამსახურებისგანაა მართული?

– ამის გამოყენება, შეიძლება, სპეცსამსახურებმა მოინდომონ და ეს სხვა საკითხია, მაგრამ თუკი საზოგადოებაში ასეთი მუხტი არაა, სპეცსამსახურები ვერაფერს გააკეთებენ. საერთოდ, „შეთქმულებათა თეორიების“ ნაკლებად მწამს, რომ ვიღაც რაღაცას მართავს და ამ თვალსაზრისით, მარქსიზმთან ახლოს ვარ. არავინ არაფერს მართავს და პროცესები, უმეტესად, სპონტანურია, იგივე რევოლუციებიც. ვიღაცას ჰგონია, რომ საბჭოთა კავშირი აშშ-მ დაშალა, მაგრამ აბა, ვთქვათ, ჰოლანდია დაშალეთ, დაშლით? საბჭოთა კავშირი იმიტომ დაშალეს, რომ სუსტი სახელმწიფო იყო. შექმნილი იყო არა ხალხის, არამედ, ერთი ჯგუფის ნებით.

– ესე იგი, ისიც მითია, ზოგი რომ ამბობს, დასავლეთი ქართველობას გვართმევსო?

– სასაცილოა! დასავლეთი ქართველობას კი არ გვართმევს, არამედ, მახსოვს, შევარდნაძესთან მუშაობის დროს, ჩვენი საზრუნავი ის იყო, რომ დასავლეთი ჩვენი არსებობით როგორმე დაგვეინტერესებინა! ისე ლაპარაკობენ, გეგონება, დასავლეთი გიჟდება და საქართველო მისთვის რაღაც „გადამწყვეტი პუნქტია“. ვინ გვართმევს, რას გვართმევს, მაპატიეთ და, ვის რაში ვჭირდებით?! მთელი ჩვენი პოლიტიკა იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ რაც შეიძლება, მეტი ყურადღება მოგვაქციონ! დასავლეთი რამეს კი არ გვართმევს, არამედ, გლობალიზაციის ეპოქაში ვცხოვრობთ. გლობალიზაცია ტექნოლოგიებთანაა დაკავშირებული და, რა, მაგალითად, ინტერნეტი დასავლეთმა სპეციალურად „შემოგვიგდო“? – ინტერნეტი აღმოსავლეთშიცაა და დასავლეთშიც.

– სხვათა შორის, დეზინფორმაციის, ასე ვთქვათ, ბრალდებას სააკაშვილსაც უყენებდნენ...

– ვერ გეტყვით... 2006 წელს, ინგლისში ელჩად წავედი და ძალაუფლების ცენტრთან ისე ახლოს აღარ ვიყავი, როგორც, მაგალითად, 90-იან წლებში. ლაპარაკია, რომ მედიაზე ზეწოლა იყო და თუ ეს მართალია, ძალიან ცუდია...

– ინგლისში მიშას როგორი რეპუტაცია ჰქონდა?

– უყურებდნენ, როგორც რეფორმატორს. მართლაც რეფორმატორი და რევოლუციონერი იყო და შეიძლება, სხვანაირად შეგეხედა? პირადად ჩემთვის რევოლუციები სტილისტურად მიუღებელია და ერთ-ერთ ჩემს წიგნში ვწერ, ალბათ, ბასტილიაც არ მომეწონებოდა-მეთქი, მაგრამ რევოლუციებს ვიღაც კი არ აწყობს, არამედ, თვითონ ხდება მაშინ, როცა ამისთვის მზადაა ხალხი. ჰოდა, „ვარდების რევოლუციის“ მიზანიც ქვეყნის მოდერნიზება იყო, რაც მხოლოდ ზეცენტრალიზაციით შეიძლებოდა მიღწეულიყო. ზეცენტრალიზაცია კი, ბუნებრივია, გადაცდომებს იწვევს და ასეც მოხდა, მაგრამ რაც მთავარია, ბიუჯეტი შეიქმნა და ეს გადამწყვეტია, რადგან სახელმწიფო ბიუჯეტით იმართება... შევარდნაძის დროს, სამწუხაროდ, ბიუჯეტი ვერ შეიქმნა, რასაც საკუთარ თავზე განვიცდიდი – მაგალითად, ბენზინს ვერ მაძლევდნენ. სააკაშვილის დროს ბიუჯეტი, ცხვირში რტყმით, მაგრამ შეიქმნა და მოდერნიზაციის ნახტომი გაკეთდა, თუმცა წელანაც გითხარით, გადაცდომებიც იყო, რადგან ძალაუფლების ზეცენტრალიზაცია გადაცდომებს ყოველთვის იწვევს...

– ბატონო გელა, სააკაშვილთან გადაცდომებზე გილაპარაკიათ?

– შევარდნაძის დროს, ყველა მიღებას ვესწრებოდი, მიშას დროს კი ასე არ იყო, თან მართალი რომ გითხრათ, მაშინ, გადაცდომების თვალსაზრისით, ბევრი რამ არც ვიცოდი. ახლაც სხვებისგან მესმის...

– გახსოვთ, მიშა, როგორც მოწაფე, პირველად რომ მოგიყვანეს?

– დიახ, მახსოვს. სხვათა შორის, დედამისიც ჩემი მოწაფე იყო და ბიძამისი თემურიც, ბაბუამისი კი დედაჩემის დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი გახლდათ...

– ბავშვობაშიც იმპულსური იყო?

– დიახ, თუმცა ნიჭიერი და პოლიტიკაში საოცრად კომპეტენტური ყმაწვილი იყო...

– ამბობენ, სააკაშვილს ბევრი კომპლექსი ბავშვობიდან „გამოჰყვაო“. მართლა კომპლექსიანი ბავშვი იყო?

– არ ვიცი, რა კომპლექსებზეა ლაპარაკი, თუმცა ამბიციები ჰქონდა, სხვანაირად პოლიტიკოსი ვერ გახდებოდა.

– ბატონო გელა, სტალინიდან მოყოლებული, ურთიერთობა ყველა მმართველთან გქონიათ. თქვენი სიმპათია ყველაზე მეტად ვისკენ იხრება?

– მიმაჩნია, რომ ყველა პირველ პირს ისტორია რაღაც მისიას აკისრებს და ყველამ თავისი მისია შეასრულა! ვთქვათ, გამსახურდიას მისია ქართული ეროვნული მუხტის წამოწევა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იყო, შევარდნაძისთვის უმთავრესი ის გახლდათ, რომ ქვეყანა დაეწყნარებინა, პლურალიზმის ელემენტები შემოეტანა, ქვეყანას ფუნქცია შეეძინა და, რაც მთავარია, საერთაშორისო აღიარება მიეღო, ეს გააკეთა, მაგრამ გადასახადების აკრეფა ვერ შეძლო, რაც დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნქციონირებისთვის გადამწყვეტია. სააკაშვილის ისტორიული მისია კი, ალბათ, ის იყო, რომ ხელისუფლების ზეცენტრალზაციით ანუ ძლიერი ხელით მოდერნიზაციისკენ, განსაკუთრებით, გადასახადების აკრეფის, კორუფციის აღმოფხვრისა და რეგულაციების გაადვილებისკენ ნახტომი გაეკეთებინა. შემდეგი მთავრობის მისია რაღაცების შენელება, ვთქვათ, მედიაზე წნეხის მოხსნაა, თუმცა ამ მთავრობის მისიაზე ლაპარაკი შეიძლება, ჯერ ადრეა...

– და სახელმწიფოსთან კონფლიქტი ხშირად მოგდიოდათ?

– არა, თუმცა მაგალითად, მოსკოვში სწავლისას, კომკავშირში არ მიმიღეს...

– ... დღევანდელი ქართული სახელმწიფო მოგწონთ?

– კი, მთლიანობაში, მომწონს, განსაკუთრებით კი, თბილისი მომწონს – ყოველთვის მინდოდა, რომ ასეთი თბილისი ყოფილიყო.

– დღეს თქვენი ცხოვრების არსი რა არის?

– მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ ხდება, სამწუხაროდ, საკმაოდ მოწყენილი ცხოვრება მაქვს, რადგან ის ადამიანები, ვისთან ლაპარაკიც ყველაზე მეტად მინდა, აღარ არიან!

– რამეს ნანობთ?

– ჩემი ცხოვრება, ამ ტრაგედიების გარდა, ცუდი არ იყო, თუმცა ეს ჩემზე დამოკიდებული ტრაგედიები არ ყოფილა...

– ბატონო გელა, ტრადიციულად, ბოლო კითხვა თქვენ უნდა დამისვათ...

– არა, კითხვებს არ ვსვამ... ჩემი კითხვები მხოლოდ სამყაროს ეხება, მაგალითად, რა არის ჭეშმარიტება? – სამწუხაროდ, ამაზე პასუხს ვერავინ მცემს...

P.S. გაზეთი „ვერსია“ თანაგრძნობას გამოთქვამს გელა ჩარკვიანის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ოჯახსა და ახლობლებს.

გელა ჩარკვიანთან ინტერვიუს სრული ვერსიის წაკითხვა კი გაზეთ „ვერსიის“ ვებ-გვერდზე შეგიძლიათ.

გაძვირდება თუ არა გაზი მოსახლეობისთვის

მაკა რუხაძე

ენერგეტიკული თამაშები და სემეკის სპეციალური განცხადება

რიგითი მოქალაქეებისთვის ბუნებრივი აირის სამომხმარებლო ტარიფი არ გაძვირდება. საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია – სემეკი სპეციალურ განცხადებას ავრცელებს, რომლითაც ირკვევა, რომ ფიზიკური პირებისთვის გაზის ტარიფი არ ძვირდება. თბილისში – შპს „თბილისი ენერჯის“ საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის, ხოლო რეგიონებში – შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“, სს „საქორგგაზისა“ დ შპს „ინტერ გაზის“ საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის გაზის მოქმედი ტარიფები დადგენილია 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. საინტერესოა, რატომ აგორდა ჭორი გაზის შესაძლო გაძვირებასთან დაკავშირებით და რატომ გაავრცელა სემეკმა განმარტებითი განცხადება.

ყველაფერი ნოემბრის დასაწყისში, შპს „სოკარ ჯორჯია გაზისა“ და შპს „ინტერ გაზის“ მიერ გავრცელებული განცხადებით დაიწყო, რომელიც ბუნებრივი აირის ტარიფის ცვლილებას ეხებოდა, ოღონდ არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის. როგორც წესი, ამ კატეგორიის მომხმარებლებისთვის ანუ იურიდიული პირებისთვის და უფრო კონკრეტულად, კერძო კომპანიებისთვის სემეკი გაზის მიწოდება/მოხმარების ტარიფებს არ ადგენს. მარეგულირებელი კომისია იურიდიული პირებისთვის მხოლოდ ტრანსპორტისა და განაწილების ტარიფებს განსაზღვრავს.

„საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის №69 ბრძანების შესაბამისად, ბუნებრივი გაზის მიწოდების საქმიანობა არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის დერეგულირებულია და არ ექვემდებარება სემეკის სატარიფო რეგულირებას. აქედან გამომდინარე, კომპანიები არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებს საბაზრო პრინციპების შესაბამისად განუსაზღვრავენ მიწოდებული ბუნებრივი გაზის საფასურს და ცვლილების შემთხვევაში, ვალდებულნი არიან ერთი თვით ადრე აცნობონ ამის შესახებ“, – ნათქვამია სემეკის განცხადებაში.

იქიდან გამომდინარე, რომ „სოკარ ჯორჯია გაზისა“ და „ინტერ გაზის“ არასაყოფაცხოვრებო აბონენტებისთვის ბუნებრივი აირის საფასური ს1 დეკემბრიდან ძვირდება, კომპანიებმა ისინი ერთი თვით ადრე გააფრთხილეს. შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ არასაყოფაცხოვრებო აბონენტები 1 დეკემბრიდან 1 კუბურ მეტრ გაზში 0.20 ლარით მეტს გადაიხდიან ანუ მათთვის ტარიფი 1.15 ლარი იქნება. ასეთივე ტარიფი დაადგინა შპს „ინტერ გაზმაც“, რომელიც ახალციხისა და ასპინძის რაიონებს ემსახურება. თუ კიდევ უფრო მეტად დავკონკრეტდებით, 1 დეკემბრიდან, რეგიონებში, კომერციული მომხმარებლებისთვის გაზი 21%-ით ძვირდება, ოღონდ გამონაკლისი ამ შემთხვევაშიც არსებობს – ბუნებრივი აირის საფასური პურის მწარმოებელი კომპანიებისთვის არ ძვირდება!

კომპანიები – „სოკარ ჯორჯია გაზი“ და „ინტერ გაზი“ ტარიფის გაძვირების მიზეზად, როგორც საინვესტიციო ხარჯებს, ასევე ლარის კურსის ცვლილებას ასახელებენ აშშ დოლართან მიმართებაში.

ალბათ, გაინტერესებთ, რატომ არ ეხება ცვლილება თბილისში მოქმედი კომერციული ობიექტებისთვის. პასუხი მარტივია – მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ „თბილისი ენერჯიმ“ დედაქალაქში მოქმედი არასაყოფაცხოვრებო აბონენტებისთვის გაზის ტარიფი მარტის დასაწყისში 28%-ით ანუ 0.86 ლარიდან, 1.10 ლარამდე უკვე გააძვირა. რეგიონების მსგავსად, გაზის ძველი ტარიფი მხოლოდ პურის მწარმოებელ კომპანიებს შეუნარჩუნდათ.

რაც შეეხება ფიზიკურ პირებს, მათთვის კომუნალური ტარიფები შარშან, 2020 წელს გაიზარდა. დავიწყოთ დენის ტარიფით, რომელიც 1 კვტ/სთ-ზე, 3.5 თეთრით გაძვირდა. გაძვირება შეეხო დენის ტარიფის სამივე საფეხურის მომხმარებლებს, მაგრამ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით იმ აბონენტებს, რომლებიც 300 კვტ/სთ-მდე მოიხმარდნენ ანუ ქვეყნის მოსახლეობის 95%-ს, ტარიფის ფასნამატი ერთი წლით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუსუბსიდირეს.

თბილისელებს მიმდინარე წლის იანვრიდან წყლის ტარიფიც გაუძვირდათ – გამრიცხველიანებული აბონენტებისთვის, 1 ტონაზე 0.33 ლარიდან 0.50 ლარამდე გაიზარდა, ხოლო გაუმრიცხველიანებლებისთვი, ერთ სულზე – 3.89 ლარიდან 4.52 ლარამდე.

რაც შეეხება ბუნებრივი აირის ტარიფს, 1 ივნისიდან, თბილისის მოსახლეობისთვის გაზის საფასური 0.8 ლარით ანუ 0.46 ლარიდან 0.54 ლარამდე გაიზარდა.

მართალია, წელს გაზის ტარიფი მხოლოდ კომერციულ მომხმარებლებს უძვირდებათ და თითქოს, ტარიფის სიმძიმე მოსახლეობას მძიმე ტვირთად არ დააწვება, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. სინამდვილეში, კერძო კომპანია გაზრდილი ტარიფის ხარჯს საკუთარი პროდუქციის გაძვირებით ამოიღებს. საბოლოოდ კი, პროდუქციის გაძვირება ისევ მოსახლეობის ჯიბეს დაარტყამს. და კიდევ ერთი, მართალია, ათი თვის წინ, გაზის ტარიფი თბილისში მოქმედი პურის მწარმოებლებისთვის არ გაძვირებულა და შესაბამისად, არც 1 დეკემბრიდან გაძვირდება რეგიონებში მოქმედი პურის საწარმოებისთვის, მაგრამ სამაგიეროდ, ერთი თვის წინ პური 1.10 ლარამდე მაინც გაძვირდა!

არჩილ გამზარდია: „ეს ნერვების ომია!“

რატომ მოიქცა ნიკა მელია გონივრულად და დააყენებეს თუ არა საპატრიარქო მიხეილ სააკაშვილის შეწყალების შუამდგომლობას

თათია გოჩაძე
598-43-50-34

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, საქართველოში პოლიტიკური მოცემულობა ასეთია – დაპატიმრებული მესამე პრეზიდენტი უკვე მე-40 დღეა, შიმშილობს. იმის მიუხედავად, რომ მიხეილ სააკაშვილი მრავალპროფილურ კლინიკაში მკურნალობას ითხოვდა, 8 ნოემბერს, გლდანის მე-8 დაწესებულების საავადმყოფოში გადაიყვანეს. ნაციონალური მოძრაობის პროტესტი კი ქუჩაში ინაცვლებს და პარტიაში აცხადებენ, რომ აქციები იქამდე გაგრძელდება, ვიდრე სააკაშვილის უფლებები დაცული არ იქნება. რა არის გამოსავალი არსებული პოლიტიკური ჩიხიდან და როგორ განვითარდება მოვლენები? – „ვერსია“ ანალიტიკოს არჩილ გამზარდიას ესაუბრა:

– ზოგადად, არსებობს ასეთი ცნება – „ძალაუფლების ავტორიტეტი“ და როდესაც ის შელახულია, ლეგიტიმაციის პრობლემა ძალიან სერიოზულად დგას. ახლა ქვეყანაში ხელისუფლების რეპუტაცია დაბალ ნიშნულზეა, მათ შორის, თავის მომხრეებშიც, უბრალოდ, ისინი სხვა ამოსავალი წერტილიდან ამოდიან და ეს წინა ხელისუფლებისადმი დამოკიდებულებაა, რის გამოც ხელისუფლებას გულშემატკივრების გარკვეული რაოდენობა ჰყავს. ამიტომ, ყველაზე მთავარი ისაა, რომ ხელისუფლებას უდგას მორალური ავტორიტეტისა და რეპუტაციის პრობლემა, რის გამოც ყველა ის აქტი, რაც მისი მხრიდან ხორციელდება, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის მიუღებელი ხდება. აქ უკვე სააკაშვილის ფაქტორი გარდამტეხია, რადგან ბოლო წლებში, რაც კი კრიტიკულ მასას ჰქონდა, ეს იყო ნაკლები ექსპრესია იმიტომ, რომ სააკაშვილი იყო სხვა ქვეყანაში, რომლის მოქალაქეცაა. მართალია, პროცესებში აქაც აქტიურად იყო ჩართული, მაგრამ ორგანული ბმა არ ჰქონდა. ამ დროს კი ნაციონალურ მოძრაობაში გამოიკვეთა ლიდერი, რომელმაც საკუთარ მხრებზე გადაიტანა „ქართული ოცნების“ სასამართლო, პროკურატურა, სამართალდევნა და ა.შ. რა თქმა უნდა, სააკაშვილის მორალური ლიმიტი, შეიძლება, რყევის ქვეშ აღმოჩენილიყო გრძელვადიან პერსპექტივაში და ამიტომაც ის იღებს გადაწყვეტილებას, რომ ამ ქვეყანაში პირდაპირ ჩაერთოს პროცესებში. ხელისუფლებას კი აქვს პიროვნული ფაქტორი სააკაშვილთან მიმართებაში, რის გამოც საოცრად გაუგებარ ნაბიჯებს დგამს.

– რას გულისხმობთ?

– თუკი „ქართული ოცნება“ სწორედ იმისთვის მოვიდა, რომ სამართლიანობის გარანტი და პიროვნული სიძულვილისგან შორს ყოფილიყო (გავიხსენოთ 2012 წლის დეკლარირებული დამოკიდებულებები „ქართული ოცნების“ მხრიდან), ამ პროცესში აღმოჩნდა, რომ მმართველი ძალა მოქმედებს სუბიექტური დამოკიდებულებებით იმიტომ, რომ იქ არის თემები, რომლებიც უფრო კარგად რომ გაეშალათ საზოგადოებისთვის, შეიძლება, რაღაც ნაწილს უფრო მეტი ლოიალობა შერჩენოდა ხელისუფლების მიმართ, მაგრამ პროცესი გაუმჭვირვალე და მუდმივად ურთიერთწინააღმდეგობრივია – დაწყებული იქიდან, როგორი იყო მისი მდგომარეობა ციხეში; რამდენად შეესაბამებოდა სააკაშვილის ჯანმრთელობა იმ რეალობას, რაც ვრცელდებოდა; მისი პირადი ინფორმაციის გავრცელება, რაც ნებისმიერი ადამიანის შემთხვევაში უნდა იყოს დაცული, ადამიანებს უფლებები გააჩნიათ საპატიმროებშიც! ამის შემდეგ, ისევ გაუგებარი მითებისკენ სწრაფვა... გავიხსენოთ „ქართული ოცნების“ მითები ნაციონალურ მოძრაობასთან მიმართებაში, თუ როგორ აპირებდა სახელმწიფო გადატრიალებას. ეს ტექსტი დროდადრო იჩენდა ხოლმე თავს, თუმცა არაფრით გამაგრებულა, არ უჩვენებიათ ამის წინაპირობები. სამაგიეროდ, მუდმივად მითოსური სისტემა იყო, რომ ადამიანების ემოციებზე ემუშავათ და ამით უფრო შემოეხვეჭათ ძალაუფლება. ახლაც, თუკი სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა ითხოვს მოცემულობას, რომ გადასულიყო მრავალპროფილურ კლინიკაში, რა არგუმენტიც ხელისუფლებამ დადო, რომ იქ დაუცველი იქნებოდა, ეს არგუმენტი არ არის. ამასთან, აღმოჩნდა, რომ ასეთი პრაქტიკა არსებობს და კიდევ უფრო გაუგებარია ეს არგუმენტი. თუკი „ქართული ოცნება“ ამბობს, რომ მიხეილ სააკაშვილი ისეთივე პატიმარია, როგორც სხვა დანარჩენი და თუ სხვა დანარჩენს შეუძლია, მიიღოს ჯანდაცვის შესაბამისი მომსახურება, იგივე რატომ არ შეიძლება სააკაშვილისთვის ანუ ჩანს, რომ სპეციფიკურად უდგებიან მის თემას.

ამავდროულად, „ქართული ოცნება“ სარგებლობს იმით, რომ ოპოზიციის მიმართ, ჯერჯერობით, საკმარისი საზოგადოებრივი სოლიდარობა არ არის და არც საერთაშორისო პარტნიორები არიან ჩართულნი ამ პროცესში. მაგალითად, თუ გავიხსენებთ მელიას შემთხვევას, როცა ის დაიჭირეს, მაშინ აქტიურად მოჰყვა კამპანია საქართველოს პარტნიორებისგან, მაგრამ სააკაშვილთან მიმართებაში უფრო ფრთხილად იქცევიან. ამით „ქართული ოცნების“ ლოგიკა გაუგებარია, ერთადერთი, მხოლოდ პიროვნული ფაქტორი ჩანს ყოფილი პრეზიდენტის მიმართ. როცა მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე ხარ, თავისთავად, სახელმწიფო იმისთვის არსებობს, რომ ადამიანს სამართლიანი სასჯელი მისცეს და დაიცვას პიროვნული შურისგებისგან – ანარქია რომ არ იყოს ქვეყანაში და ადამიანები პიროვნულად არ ექცეოდნენ ისე, როგორც საჭიროდ თვლიან და ვთანხმდებით, რომ რაღაც წესები არსებობს. „ქართული ოცნება“ კი აქ არტყამს ყველაზე მეტად, რის გამოც პროცესი კრიზისშია, ოღონდ უცნაური ისაა, რომ კრიზისს ხელისუფლებას ოპონენტები უქმნიან ხოლმე, ამ შემთხვევაში, აშკარად ჩანს, რომ ინსპირანცია თავად ხელისუფლებისგან მოდის მაშინ, როცა შეიძლებოდა, უფრო მარტივად დაელაგებინათ პროცესი, მეტი გამჭვირვალობა შეექმნათ, რიტორიკაც შესაბამისი ყოფილიყო, მაგრამ „ქართულ ოცნებას“, რატომრაც, ამ კრიზისის შექმნა უნდა.

– არჩილ, სააკაშვილი აცხადებს, რომ შიმშილობას არ შეწყვეტს და მმართველი ძალაც მისი სურვილის დაკმაყოფილებაზე უარს ამბობს, რაც მრავალპროფილურ კლინიკაში გადაყვანას ეხება... რამდენადაა საფრთხე, რომ გართულდეს ვითარება და, საერთოდ, სადაა გამოსავალი?

– გამოსავლის კონსტრუქცია რთული არაა. აქ ლაპარაკი იმაზეა, რომ სააკაშვილის, როგორც პატიმრის უფლებები იყოს დაცული და ხელისუფლება იყოს თანმიმდევრული. ზოგადად, როცა ადამიანი პატიმრობაშია, მის მიმართ დამოკიდებულება შესაძლებლობის ფარგლებში უნდა იყოს ლოიალური. ეს თანამედროვე ცივილიზაციის მიგნებაა, ადამიანს პატიმრობას იმიტომ უსჯიან, რომ თავისი დანაშაული გამოისყიდოს.

ამას გარდა, მიხეილ სააკაშვილის დამნაშავეობის მიმართ, არსებობს ორგვარი კითხვა – ერთი, როცა მისი მომხრეები აცხადებენ, რომ ეს დანაშაულები დანაშაული არ არის და შესაბამისად, სააკაშვილის დამნაშავეობა საკმარისად არ იკვეთება, რაც სამართლიანმა სასამართლომ უნდა გადაწყვტოს და მეორე, მისი მოწინააღმდეგეები თვლიან, რომ ეს ძალიან რბილი მუხლებია იმასთან შედარებით, რასაც ისინი ითხოვენ ანუ საერთო ჯამში, რა მუხლებითაც ის გაასამართლეს, არავინ კმაყოფილი არაა. ამას გარდა, სადავო არ უნდა იყოს, რომ ძალით ციხის კლინიკაში გადაყვანა არ შეიძლება; რომ სასამართლო უნდა იყოს გამჭვირვალე, მით უმეტეს, სააკაშვილის შემთხვევაში და ეს არ უნდა ჩატარდეს ციხის საკანში, არამედ, უნდა იყოს სრულფასოვნად განხორციელბული სასამართლო.

საფეხურეობრივად რომ მივყვეთ, ქარიშხალი „ქართულმა ოცნებამ“ არაფრიდან ატეხა. მას შეეძლო, მეტი ჩართულობით, სააკაშვილისადმი ბრალდების მტკიცების პროცესი უფრო ღია და გამჭვრივალე გაეხადა, მით უმეტეს, თუ თვლის, რომ ის არის მართალი და დაეცვა სააკაშვილის უფლებები. ჩიხიდან გამოსავალიც აქაა, უბრალოდ, ეს ძალიან თეორიულია, მიუხედავად იმისა, რომ მარტივია, ხელისუფლებას ეს განზრახვა არ გააჩნია.

საქართველოს არ აქვს პირველი პირების სამართალდევნის გამოცდილება დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ და ამ მხრივ, ეს გარკვეულ ექსკლუზიურობას მოითხოვს იმიტომ, რომ იმ კონსტიტუციის ფარგლებში, სადაც პრეზიდენტი დიდი ძალაუფლების მქონე პირი იყო, ვიცით, სულ სამი პრეზიდენტი – გამსახურდიასა და შევარდნაძის შემთხვევებში გასაგებია, რაც მოხდა და ერთადერთი, სააკაშვილია ამ კუთხით, რადგან შემდეგი ორი პრეზიდენტი, ამ მხრივ, სრულიად სხვა საკონსტიტუციო მოცემულობაში არიან ანუ ქვეყანა, რომელიც ფეხს დგამს დემოკრატიისკენ და მიაჩნია, რომ ევროკავშირის წევრი უნდა იყოს, სხვა მიდგომით უნდა მოქმედებდეს. გადავხედოთ სხვა შემთხვევებს, ყოველთვის არის ადეკვატური დევნა, ციხეში ძალიან იშვიათად მიჰყავთ ცივილიზებული სახელმწიფოს ლიდერები, თუ იქ არ არის ძალიან მკაფიო მოცემულობა და ყველა კითხვაზე პასუხი. ამიტომ, გამოსავალი არის ეს და შესაბამისად, „ქართულმა ოცნებამ“ უნდა შექმნას სტანდარტი, რომელიც ადრე თუ გვიან, როცა შეიცვლებიან, მასვე მოემსახურება. დავაკვირდეთ, ისტორია როგორ მეორდება, ყველა ხელისუფალი, რომელიც უსამართლოდ ეპყრობოდა პროცესებს, თავად გახდა თავისივე შექმნილი სისტემის მსხვერპლი და ეს „ქართული ოცნების“ ლიდერებმაც უნდა გაითვალისწინონ! ყველაფერი ეს კი სტრუქტურირების თვალსაზრისით, არ არის რთული, ლაპარაკია იმაზე, რომ იპოვონ კლინიკა, რომლის დაცვაც მარტივადაა შესაძლებელი, რათა სააკაშვილმა მიიღოს შესაბამისი მკურნალობა; გახადონ სასამართლო გამჭვირვალე და ადამიანებმა თავად გააკეთონ დასკვნა, იქნებ უდანაშაულოა, ან უფრო დამნაშავეა... ანუ ამ ჩიხიდან გამოსავალი მარტივია, თუ ხელისუფლებას აქვს კეთილგონიერება.

– მნიშვნელოვანია ოპოზიციის სტრატეგია. გუშინდელი აქციის შემდეგ, ადამიანები სოციალურ ქსელში წერდნენ, რომ მელიამ განგებ დაშალა აქცია, როცა კანცელარიისკენ წასვლისკენ მოუწოდა... როგორ უნდა განავითაროს ოპოზიციამ პროტესტი ისე, რომ სასურველ შედეგს მიაღწიოს?

– მელია მოიქცა ძალიან გონივრულად და პოლიტიკური ლიდერის ქცევით. ის, რაც გუშინ მოხდა, აშკარად იყო გამიზნული ხელისუფლების მხრიდან ოპოზიციისადმი პროვოკაციაზე. ემოციებზე მიმართეს, როგორია, რომ ჯერ ადამიანი ციხეში არაა, მერე ვერ იგებ, სად არის და შემდეგ აღმოაჩენ, რომ იძულების წესით გადაიყვანეს ციხის საავადმყოფოში?! ყველაფერი ეს იყო გათვლილი იმაზე, რომ იქნებ, ოპოზიციის ლიდერებისა და ხალხისთვისაც ნერვებს ემტყუნა და მძლავრი აქტიური ქმედებები, უკუკავშირი დაემყარებინათ, რაშიც, თუკი ამ ექსპრესიას ადამიანი აჰყვებოდა, შეიძლება, გაჩენილიყო საფუძველი პოლიტიკური ლიდერების სამართალდევნის კუთხით და ასევე, მასობრივი დაპტიმრებებისთვის... იმისთვისაც, რომ ხელისუფლებას ძალის გამოყენების საშუალება მისცემოდა. ამიტომ, ვფიქრობ, ნიკა მელია გონივრულად მოიქცა და ამ პროვოკაციას პოლიტიკური ქცევა დაუპირისპირა, მიხვდა, რომ ასე მყისიერად მსგავსი პროცესები არ იცვლება და ხალხის მასა, რომელიც შეიძლება რაღაცისკენ წავიდეს...

– ანუ, მელიას დაუდგა საფრთხე, რომ შესაძლო იყო, პროცესები ვერ ემართა და ასე ამიტომაც მოიქცა?

– რა თქმა უნდა, როცა ემოციებზე მოქმედებენ და თან, როცა ლიდერები უბიძგებენ ამისკენ, სხვა მოცემულობა ჩნდება. რაც შეეხება ოპოზიციის ტაქტიკას, მასაც რთული ამოცანა აქვს და აქაც ნერვების ომია იმიტომ, რომ ოპოზიციას სჭირდება, როგორც შიდასოლიდარობის გამოწვევა თანამოქალქეების იმ ნაწილში, რომლებიც ამ პროცესს კრიტიკულად უყურებენ, ან სააკაშვილისადმი პირადი დამოკიდებულების გამო თვლიან, რომ შურისძიება პოლიტიკურ პროცესში ნორმალური პროცესია. შიდასოლიდარობასთან ერთად, გამოსაწვევია გარესოლიდარობაც, ამიტომ სინამდვილეში, კრიტიკულ მოქალაქეებს სჭირდებათ ფრთხილი და თანმიმდევრული ბრძოლა, რათა პარტნიორებში, მოქალაქეებში გამოიწვიონ სოლიდარობა, რადგან მხოლოდ ამ გარე და შიდა სოლიდარობის გაზრდის შედეგად შეიძლება, ხელისუფლებაზე ზემოქმებდება ისე, რომ საკონსტიტუციო ჩარჩოებს არ გადავიდეს ხალხი. იმპულსური ქცევა ასეთ საკითხებს არასდროს წყვეტს და არ მთავრდება ნორმალური შედეგით, ამის ნაცვლად, უნდა იყოს გონივრული ნაბიჯები და არა – ემოციური.

– როგორ ფიქრობთ, სააკაშვილის შეწყალების შუამდგომლობას საპატრიარქო ხომ არ დააყენებს?

– შეიძლება, შუამდგომლობა დააყენოს, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ ზურაბიშვილს ხშირად აქვს საკუთარი პოზიციები და რასაც თვლის საჭიროდ, იმას აკეთებს, მათ შორის, ყოფილა შემთხვევა, რომ პატრიარქის პოზიციასთან არ ჰქონია თანხვედრა და მოქცეულა ისე, როგორც თავად ჩაუთვლია საჭიროდ, თუმცა შესაძლებელია ეს საკითხი დადგეს, უბრალოდ, ეს კიდევ უფრო გააძლიერებს ოპოზიციურ სულისკვეთებას ანუ პატრიარქის ერთგვარი მხარდაჭერა... სასურველიც იქნება იმ შემთხვევაში, თუკი პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამძიმდება. გავრცელებულ კადრებში ვნახეთ, რომ სააკაშვილი შედარებით ყოჩაღადაა, მაგრამ ნივთიერებებითა და გადასხმებით შენარჩუნებული ჯანმრთელობა გრძელვადიანი არაა. სააკაშვილი თუ უფრო მძიმე შიმშილობას გამოაცხადებს, საფრთხე უფრო მოახლოვდება. ვიდრე პრეზიდენტის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, დროც იქამდეა და არ დაგვავიწყდეს, რომ შიმშილობს ელენე ხოშტარიაც, რომელმაც თავიდანვე ძალიან მძიმედ დაიწყო შიმშილობა და მისი ჯანმრთელობა ბევრად უფრო მძიმეა ამ წუთისთვის. არის კიდევ რამდენიმე მოხალისე, რომლებიც შიმშილობენ, როგორც ვიცი და რომლებსაც შეიძლება, დაუმძიმდეთ მდგომარეობა. ეს ყველაფერი ქმნის სურათს, სანამ ამ ყველაფერს სასიცოცხლო სტატუსი შეეცვლება, ამიტომ ეს რთული თემაა, მაგრამ როცა ხელისუფლებაც პროვოცირებს, ოპოზიციამ მაინც უნდა უპასუხოს გონივრული ნაბიჯებით.

მაკა რუხაძე

გაძვირებული ცხოვრების ანატომია – გვემუქრება თუ არა შიმშილი

გაერო-ს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის საგანგაშო კვლევა

თვენახევარია, პური და სამომხმარებლო კალათის ყველა ძირითადი პროდუქტი გაძვირდა. პურის გაძვირებას თავისი სერიოზული მიზეზი ჰქონდა – მსოფლიო ბაზარზე ხორბალი გაძვირდა. სხვათა შორის, სამომხმარებლო კალათის ძირითადი პროდუქტების გაძვირებასაც საკმაოდ სერიოზული საფუძველი ჰქონდა – გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია FAO-მ სურსათის ფასების ინდექსი გამოაქვეყნა. FAO-ს ფასების ინდექსი სამომხმარებლო კალათის ხუთი ძირითადი პროდუქტის – რძის, მარცვლეულის, მცენარეული ზეთის, შაქრისა და ხორცის საერთაშორისო ფასების ცვალებადობას ასახავს. ახალი კვლევის მიხედვით გაირკვა, რომ ოქტომბერში, FAO-ს სურსათის ფასების ინდექსი ათწლეულის რეკორდულ ნიშნულზე ავიდა – 3.9%-ით გაიზარდა და 133.2 ქულა შეადგინა. საერთაშორისო ექსპერტების შეფასებით, ფასების ეს მაჩვენებელი რეკორდულ ნიშნულზეა, რადგან 2011 წლის ივლისის ფასებს გადააჭარბა. პარალელურად, სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურმა ოქტომბრის ანგარიში წარადგინა, რომლის მიხედვითაც, საქართველოში სამომხმარებლო ფასების ინდექსი, წინა წელთან შედარებით, 12.8%-ით გაიზარდა.

FAO-ს ფასების ინდექსი

ვიდრე „საქსტატის“ მონაცემებს გავეცნობით, ჯერ FAO-ს ფასების ინდექსის ცვლილებით დავიწყოთ. ეს იმიტომ, რომ ნებისმიერი პროდუქტის გაძვირებასა თუ ლარის კურსის ცვლილებას ადგილობრივი ექსპერტები გლობალურ ჭრილში – საერთაშორისო ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით იხილავენ. აქედან გამომდინარე, დეტალურად განვიხილოთ, რატომ და რა მიზეზით გაძვირდა მსოფლიო ბაზრებზე სასიცოცხლოდ აუცილებელი კვების პროდუქტები.

FAO-ს კვლევით ირკვევა, რომ **მარცვლეულის ფასების** ინდექსმა ოქტომბერში, საერთო ჯამში, 3.2%-ით მოიმატა. ხორბლის ფასი საერთაშორისო ბაზრებზე 5%-ით გაიზარდა, ამავდროულად, მოსავლის კლების გამო, შემცირდა პროდუქტის შეთავაზება მსხვილი ექსპორტიორი ქვეყნებიდან, როგორებიცაა კანადა, რუსეთის ფედერაცია და აშშ. სხვა მარცვლეული კულტურების ფასიც, წინა თვესთან შედარებით, მომატებულია.

მცენარეული ზეთის ფასი, წინა თვესთან შედარებით, 9.6%-ით გაიზარდა და ისტორიულად რეკორდულ ნიშნულს მიაღწია. საერთაშორისო ექსოერტების შეფასებით, ფასები პალმის, სოიოს, მზესუმზირისა და რაფსის ზეთის გაძვირების ხარჯზე გაიზარდა. უკვე მეოთხე თვეა, პალმის ზეთი ძვირდება.

რძის პროდუქტების ფასის ინდექსი 2.6%-ით გაიზარდა, რაც განპირობებულია კარაქზე, რძის ფხვნილსა და საღ რძეზე მდგრადი მოთხოვნით. რძისგან განსხვავებით, ყველის ფასი, საერთო ჯამში, იმავე ნიშნულზე დარჩა, რადგან მიწოდებამ საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნა დააკმაყოფილა.

ხორცის ფასის ინდექსი შემცირდა და 0.7% შეადგინა. გაეროს ექსპერტების შეფასებით, ჩინეთის მხრიდან ღორის ხორცის შესყიდვამ და ბრაზილიის საქონლის ხორცის გაიაფებამ ამ მაჩვენებლის კლება განაპირობა. ფრინველისა და ცხვრის ხორცის, დიდი საერთაშორისო მოთხოვნისა და წარმოების შემცირებული მოლოდინების გამო გაძვირდა.

შაქრის ფასების ინდექსი 1.8%-ით შემცირდა. ეს ამ ინდექსის პირველი შემცირებაა ექვსთვიანი მდგრადი ზრდის ფონზე. ტენდენციის შეცვლა განაპირობა საერთაშორისო მოთხოვნის შემცირებამ, ინდოეთისა და ტაილანდის წარმოების უკეთესმა პერსპექტივამ და აშშ დოლართან მიმართებაში, ბრაზილიური რეალის კურსის გაუფასურებამ.

პროდუქტები საქართველოშიც გაძვირდა

ოქტომბრის სამომხმარებლო ფასების ინდექსი „საქსტატმაც“ გამოაქვეყნა, რომლითაც გაირკვა, რომ შარშანდელთან შედარებით, ეს ინდექსი 12.8%-ით გაიზარდა. „საქსტატის“ ანგარიშით ირკვევა, რომ ინფლაციაზე ყველაზე დიდი გავლენა სურსათის ფასების 18%-იან ზრდას ჰქონდა, თუმცა სურსათის გარდა, ინფლაციაზე საწვავის გაძვირებაც აისახა. მოკლედ, „საქსტატის“ ანგარიშზე დაყრდნობით, ბოლო ერთი წლის მანძილზე, ბოსტნეული – 43%-ით, ზეთი – 31%-ით, რძე, ყველი და კვერცხი – 18.2%-ით, ტკბილეული – 18%-ით, პური კი – 19.4%-ით გაძვირდა!

ახლა, ეს ინფორმაცია უფრო დეტალურად, ცალკეული პროდუქტების ჯგუფების მიხედვით ჩავშალოთ:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ამ ჯგუფში ფასები 18.4%-ით გაიზარდა, რაც წლიურ ინფლაციაზე 5.73 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასებმა მოიმატა ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე – 43%-ით, ზეთსა და ცხიმზე – 31.6%-ით, პურსა და პურპროდუქტებზე – 19.4%-ით, რძეზე, ყველსა და კვერცხზე – 18.2%-ით, შაქარზე, ჯემსა და სხვა ტკბილეულზე – 18%-ით, თევზეულზე – 16%-ით, მინერალურ და წყაროს წყალზე, უალკოჰოლო სასმელებსა და ნატურალურ წვენებზე – 13%-ით, ხორცსა და ხორცპროდუქტებზე – 11.2%-ით, ხილსა და ყურძენზე – 9.3%-ით, ყავაზე, ჩაისა და კაკაოზე – 6.4%-ით.

ტრანსპორტის ჯგუფში ფასები 19.6%-ით გაიზარდა, რაც 2.4 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაზე. ფასებმა მოიმატა პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე – 28.9% და სატრანსპორტო მომსახურებაზე – 2.8%. პარალელურად, სატრანსპორტო საშუალებების შეძენის ფასები 1.3%-ით შემცირდა.

საცხოვრებელი, წყალი, ელექტროენერგია, გაზი: ამ ჯგუფში ფასები 11.9%-ით გაძვირდა, რაც 1.75 პროცენტული პუნქტით აისახა წლიურ ინფლაციაზე. ფასები მომატებულია შემდეგ ქვეჯგუფებზე: ელექტროენერგია, გაზი და სათბობის სხვა სახეები – 13.9%, საცხოვრებლის მიმდინარე მოვლა და შეკეთება – 7.3%, წყალმომარაგება და საცხოვრებელთან დაკავშირებული სხვა მომსახურება – 4.5%.

ჯანმრთელობის დაცვა: ამ ჯგუფსი ფასები 8.4%-ით გაძვირდა. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა წლიურ ინდექსში 0.65 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასები გაიზარდა შემდეგ ქვეჯგუფებზე: სამედიცინო პროდუქცია, აპარატურა და მოწყობილობა – 12.7%, საავადმყოფოების მომსახურება – 5.3% და ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება – 3.6%.

ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ჯგუფში ფასები 5.4%-ით გაიზარდა. „საქსტატის“ ინფორმაციით, ჯგუფის წვლილმა თვის ინდექსში 0.18 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასები გაზრდილია, როგორც ფეხსაცმლის – 8.6%, ასევე ტანსაცმლის – 3.2% ქვეჯგუფებზე.

„საქსტატის“ ანგარიშით ირკვევა, რომ 2021 წელს, საქართველოში ინფლაციის დონემ ბოლო ათი წლის რეკორდულ ნიშნულს გადააჭარბა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) გლობალური ეკონომიკური მიმოხილვის თანახმად, მაღალი ინფლაციის დონით, საქართველო მსოფლიოში მე-16 ადგილზეა და მას ისეთი ქვეყნები უსწრებენ, როგორებიცაა: ვენესუელა, სუდანი, სურინამი, იემენი და ზიმბაბვე.

„საქსტატის“ ეს ანგარიში კიდევ უფრო მეტად რომ ჩავშალოთ და კონკრეტული პროდუქტების გაძვირებით შევავიწროვოთ, ასეთ სურათს მივიღებთ: 2021 წლის ოქტომბერში, ყველაზე მეტად ბოსტნეული გაძვირდა და ჩვენც ამ პროდუქტების დეტალური ანალიზით დავიწყოთ: ბადრიჯანი – 128.1%-ით გაძვირდა; პომიდორი – 117.3%-ით; კომბოსტო – 89.3%-ით; ჭარხალი – 56.2%-ით; კიტრი – 46,3%-ით; კარტოფილი – 44,6%-ით.

ამის შემდეგ, ყველაზე მეტად მცენარეული რაფინირებული ზეთი გაძვირდა: მზესუმზირის ზეთის ფასმა 52.4%-ით მოიმატა.

კვების პროდუქტებთან ერთად, ბოლო ორ თვეში, ბავშვთა საფენები და კვების პროდუქტებიც საგრძნობლად გაძვირდა. ასე, მაგალითად, სხვადასხვა აფთიაქებში, „პამპერსის“ 94-ცალიანი შეფუთვის ფასი სხვადასხვაა და 60 ლარამდე აღწევს. რაც შეეხება ხილის ფაფებს, მათი საშუალო ფასი 5.00-დან 10 ლარის ფარგლებში მერყეობს.

სად არიან სალხინოს მონასტრიდან გამოყრილი ბერები – ექსკლუზიური დეტალები

თათია გოჩაძე, სალომე ნოზაძე

5 ნოემბერს, დილიდან, სალხინოს მონასტერთან პოლიცია იყო მობილიზებული. გავრცელებული ინფორმაციით, მიტროპოლიტ სტეფანეს მიერ წარგზავნილმა პირებმა განკვეთილ ბერებს მონასტრის ტერიტორია იძულებით დაატოვებინეს, ნაწილი მათგანი კი პოლიციაში გადაიყვანეს.

ჭყონდიდის ეპარქიაში სასულიერო პირებს შორის დაპირისპირება 2019 წლიდან დაიწყო, როდესაც ეპარქიის ყოფილი წინამძღვარი, პეტრე ცაავა საპატრიარქომ მღვდელმთავრობიდან გაათავისუფლა.

ყოფილი ჭყონდიდელი მიტროპოლიტის მხარდამჭერები ეპარქიის ახალ მმართველს, მღვდელმთავარ სტეფანე კალაიჯიშვილს არ ემორჩილებიან და ითხოვენ, რომ საერთო კრებამ განიხილოს პატრიარქის მისამართით პეტრე ცაავას მიერ გამოთქმული ბრალდებების სინამდვილე.

ჭყონდიდის ახალმა მიტროპოლიტმა სასულიერო პირები მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ მოწყობილ ამბოხსა და სამონაზვნო აღთქმის დარღვევაში დაადანაშაულა და მიმდინარე წლის სექტემბერში ეკლესიიდან განკვეთა. საპატრიარქომ ჭყონდიდის ეპარქიაში წერილი გაგზავნა, რომლითაც მეუფე სტეფანეს მიერ განკვეთილი ბერებისგან საპატრიარქოს სამონასტრო კომპლექსის დატოვებას მოითხოვს. განკვეთილ ბერებს ვადა 4 ნოემბრამდე განუსაზღვრეს. თბილისიდან გაგზავნილი წერილი 29 ოქტომბრით თარიღდება, რომელსაც ხელს პატრიარქის მდივანი, დეკანოზი მიქაელ ბოტკოველი აწერს.

საგულისხმოა, რომ ბერების დაკავება დაემთხვა ფესტივალს, რომელიც დადიანების სასახლეში უნდა გამართულიყო. როგორც ირკვევა, ორგანიზატორებს საპატრიარქო დაპირდა, რომ ამ ფესტივალს სკანდალი არ დაემთხვეოდა, არადა, ყველაფერი პირიქით მოხდა.

„ვერსია“ გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს მარტვილის ეპარქიიდან განკვეთილ DEDA სოსანა ბოლქვაძესთან, რომელიც მეუფე სტეფანეს ბრძანებით, წმინდა ნინოს მონასტრიდან გაუშვეს. ჩვენი ექსკლუზიური ინფორმაციით, მარტვილში, სალხინოს მონასტრიდან განდევნილი ბერები არიან: მამა ვასილი, მამა დანიელი, მამა ამბროსი, მამა მიქაელი, მამა პეტრე და მამა ლუკა. ასევე, მათთან ერთად სამოქალაქო პირებიც, რომლებიც მონასტერში ცხოვრობდნენ.

„გაიხრწნა მთელი საპატრიარქო“ – სკანდალური ინტერვიუ დედა სოსანასთან

– დედა სოსანა, გაათავისუფლეს თუ არა დაკავებული ბერები და ახლა სად იმყოფებიან?

– დაკავებული ბერები გამოუშვეს, მაგრამ სად უნდა წავიდნენ და იცხოვრონ, ამაზე პასუხისმგებელი საპატრიარქო არაა. მონასტერში არ დააბრუნეს, არადა, წასასვლელი არსად აქვთ. ეს სამი მონასტერი მათი აშენებელია და ამიტომ, ადგილზე რჩებიან და ითხოვენ, რომ სამიდან ერთ-ერთ მონასტერში მაინც იცხოვრონ, სანამ საპატრიარქო გადაწყვეტილებას მიიღებს. ორი წელია, ვითხოვთ, რომ შედგეს გაფართოებული კრება, სულ ორი საათი გვჭირდება, რომ ვაჩვენოთ ქართველ ერს, ვინ არის ეკლესიიდან განსაკვეთი. საპატრიარქოს ამ ორი საათის ეშინია და ყველაფერზე მიდის, რომ ადამიანი ფიზიკურად, მორალურად გატეხოს და გაანადგუროს. ვერ ხვდება, რომ ამით კიდევ უფრო გვაძლიერებს და მეტ პროტესტს მიიღებს ხალხისგანაც.

– ბერებს მეუფე სტეფანე კალაიჯიშვილთან ჰქონდათ კომუნიკაცია?

– კომუნიკაციას აზრი არ აქვს, თორემ რამდენი ხანია, ვითხოვთ და არ სურს ამ ადამიანს საუბარი. საპატრიარქოს არ უნდა, თორემ მეუფე სტეფანე საპატრიარქოს წინააღმდეგ ვერ და არ წავა. საპატრიარქოში ფიქრობენ, რომ ყველაფერ ამით, ამ ადამიანებს გააჩუმებენ, თუმცა მერწმუნეთ, სიცოცხლის ბოლომდე ვიბრძოლებთ, რომ საპატრიარქო გაიწმინდოს.

– მეუფემ რამდენიმე თვის წინ თქვენც გამოგიშვათ მარტვილის წმ. ნინოს დედათა მონასტრიდან...

– დიახ და დღემდე არ ვარ მონასტერში, ჩემს ნივთებსაც დღემდე არ მატანენ იმის გამო, რომ არ ვჩერდები და ვამხელ ამ ცრუ ეპისკოპოსებს. სწორედ ამ მიზეზით გვატოვებინებენ ეპარქიას და გვყრიან მონასტრებიდან.

– დედაო, თქვენ და ამ ბერებს, როცა მონასტრებიდან გამოგიშვეს, სასულიერო ხარისხი ჩამოგართვეს?

– დიახ. ეკლესიიდან მამები განკვეთეს და ბერობა წაართვეს, არადა, აგიხსნით, რა ხდება – მეც და ბერებსაც, როდესაც აღკვეცის საიდუმლო ჩატარდა, ბიბლიაზე და ღვთის წინაშე გვაქვს ფიცი დადებული, რომ დავიცავთ ქალწულებას და სიკვდილის ბოლომდე, ბერი თუ მონაზონი ვიქნებით. ეს ეპისკოპოსი კი ამბობს, თქვენსა და ღმერთს შორის დადებულ ამ აღთქმას მე გიუქმებთ და ამიერიდან ერისკაცები ხართო. ასეთი რამ ეკლესიაში არ არსებობს და არ ვიცი, ეს კაცი ამ განცხადებას რა კანონზე დაყრდნობით აკეთებს. როგორ შეიძლება, ბერს წაართვა ბერობა და უბიძგო ერისკაცობისკენ?! ამას სასჯელი მოჰყვება – 14 თაობაა დაწყევლილი, რომ წავიდე მონასტრიდან და ვიცხოვრო ერში, როგორც ერის ადამიანმა ანუ მეუფეს ეს გადაწყვეტილება საეკლესიო კანონს ეწინააღმდეგება და ჩვენს ეკლესიაში მსგავსი რამ არავის გაუკეთებია.

– თქვენ და ამ ბერებისთვის არც ალტერნატიული მონასტერი შეუთავაზებია საპატრიარქოს?

– არა.

– დედა სოსანა, რა მოხდა 5 ნოემბერს, დილით, სალხინოს მონასტერში, თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ?

– დილით შეიჭრა მეუფე სტეფანე თავისი ჩოხოსნებით და ძალით გამოყარეს მონასტრიდან ბერები. დააკავეს სასულიერო პირები, უხეშად ჩაერია ეკლესიის საქმეში მთავრობა.

– დაკავების მიზეზი რა იყო?

– ერთადერთი მიზეზი ისაა, რომ ჭყონდიდის ეპარქიის მამები და ჩვენ ვამხელთ ცრუეპისკოპოსებს, გარყვნილებს, მრუშებს, პედოფილებსა და მამათმავლებს ეკლესიაში. ეს არის მთავარი მიზეზი, რის გამოც საპატრიარქოს დავალებით მოქმედებს მთავრობა. საპატრიარქომ ვერ გაგვაჩერა, გვეუბნებოდნენ ამ ხნის განმავლობაში, გაჩერდითო, მაგრამ როგორ გავჩერდეთ, როცა ინგრევა, იქცევა ეკლესია და გაიხრწნა მთელი საპატრიარქო?! ეს გახდა მიზეზი, რომ მამებს მონასტერი დაატოვებინეს, განკვეთეს და ძალიან უხეში დარღვევაა, როცა სახელმწიფო ასე ერევა საპატრიარქოს ცხოვრებაში.

– ანუ, დაკავებას კონფლიქტი არ უძღვოდა?

– კონფლიქტი არ მომხდარა. დილით მამები ლოცულობდნენ, სამონასტრო წესით ტაძარში იყვნენ შესულები, შემოვარდა მეუფე სტეფანე, არიქა, დატოვეთ ტაძარიო. მამებს, რა თქმა უნდა, წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, დატოვეს ტაძარი და მერე ჩოხოსნები შემოჰყვნენ. შევიდნენ კელიებში, გამოყარეს მამები და დაარბიეს. ახლაც დგანან ჩოხოსნები მონასტრის კელიებში და არ გვიშვებენ.

– დედა სოსანა, დადიანების სასახლეში ფესტივალი იყო დაგეგმილი და მამების ასეთი სკანდალური გამოძევება ამ ფესტივალს რატომ დაემთხვა?

დასასრული მე-8 გვერდზე

სად არიან სალხინოს მონასტრიდან გამოყრილი ბერები – ექსკლუზიური დეტალები

მე-7 გვერდიდან

– ეს სიმფონიური ორკესტრის კამერატაა, სადაც მიწვეულნი არიან მსოფლიო მომღერლები, კლასიკოსები და ეს ფესტივალი უკვე 7-10 წელია, ტარდება. მეუფე პეტრეს (ცაავა) ხელმძღვანელობით იყო დაგეგმილი და რადგანაც მეუფე პეტრეს ინიციატივით იყო დაგეგმილი, ახლა უნდათ, რომ ყველაფერი მოშალონ, დაანგრიონ და ამიტომ დაამთხვიეს. საპატრიარქომ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ხალხს მისცა პირობა, არეულობა და დაპირისპირება არ მოხდებაო, ფაქტობრივად, მსოფლიოს წინაშე მოიჭრა თავი. ჩვენ ვითხოვთ საეკლესიო სასამართლოს, რათა მონასტერში, ეკლესიაში გადაწყდეს ეს საქმე, მაგრამ არ გვეძლევა ამის უფლება.

– თქვით, მეუფე პეტრეს ორგანიზებით ტარდებოდა ფესტივალიო. ახლაც მეუფე პეტრეა თანაორგანიზატორი?

– არა, ახლა მეუფე პეტრე არაა, მაგრამ თავის დროზე, ხომ მისი ინიციატივით ტარდებოდა? ახლა, რა თქმა უნდა, მეუფე სტეფანეს შეუთანხმდნენ, გუშინ (4 ნოემბერს) იყვნენ ორგანიზატორები და მეუფე სტეფანემ უთხრა, პროვოკაციას და დარბევას არ ჩავიდენთო.

– რა გამოდის, საპატრიარქო დაპირდა ფესტივალის ორგანიზატორებს, რომ პროვოკაციები არ იქნებოდა და მეუფე სტეფანე არ დაემორჩილა საპატრიარქოს გადაწყვეტილებას?

– მეუფე სტეფანე ვერაფერს გადაწყვეტდა, საპატრიარქო რომ არ იდგეს ყველაფრის უკან! ორი ვარიანტია – ან სტეფანე არ დაემორჩილა საპატრიარქოს, ან უფრო მეტად მგონია, რომ საპატრიარქომ მოატყუა ფესტივალის ორგანიზატორები.

* * *

„ვერსია“ დაინტერესდა, რა სახის ფესტივალი იყო დაგეგმილი მარტვილის დადიანების სასახლეში, რომლის შესახებაც სოციალურ ქსელში – Facebook-ის გვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას გთავაზობთ:

„სალხინოს დადიანის საშემოდგომო სასახლე (მარტვილი) წელს, მეშვიდედ უმასპინძლებს მუსიკალურ ფესტივალს – „სალხინოს კამერატა“.

ფესტსივალი ეძღვნება გამოჩენილი ქართველი კომოზიტორის – რევაზ ლაღიძის 100 წლის იუბილეს. ფესტივალი ჩატარდება სამი დღე 5-6-7 ნოემბერს. ფესტივალის ორგანიზატორები:

შიო აბრახამია – ინიციატორი და სამხატვრო ხელმძღვანელი;

ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი – გენერალური მენეჯერი. ფესტივალი ხორციელდება საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს; მარტვილის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მხარდაჭერით“.

„ვერსია“ 5 ნოემბერს, ფესტივალის ერთ-ერთ ორგანიზატორს, ბექა ჯუმუტიას ესაუბრა:

„საპატრიარქოსგან მივიღეთ გარანტია, თუმცა ამ ინციდენტამდე დაგვიბარეს და გვითხრეს, რომ ფესტივალის დასრულებამდე, არაფერი მოხდებოდა. შემდეგ გავიგეთ, რომ გამოაგზავნეს წერილი და 4 ნოემბრამდე მისცეს მამაოებს ვადა. ყველაფერი ეს, ჩვენთან საუბრის შემდეგ გააკეთეს. ჩვენ რომ დავურეკეთ, შემდეგ აქეთ გადმოვიდნენ შეტევაზე, რომ თურმე, შვიდი წელია, ეს ფესტივალი მიმდინარეობს, საპატრიარქო კი – საუკუნეებია არსებობსო. ისიც გვითხრეს, თქვენს საქმეს მიხედეთ და ჩვენც, ჩვენს საქმეს მივხედავთო. ჩვენ გუშინაც მივიღეთ გარანტია, რომ არაფერი მოხდებოდა და ეს გარანტია საპატრიარქოს ადვოკატმა მოგვცა. ვინ არის ახლა საპატრიარქოს მმართველი?! – შორენა თეთრუაშვილი, რა თქმა უნდა! დამსჯელად მოვლენილმა მეუფემაც გვითხრა, რომ არაფერი მოხდებოდა, მისგანაც მივიღეთ გარანტია და თქვა, რომ თვითონაც მობრძანდებოდა ფესტივალზე. თუმცა კი ნახეთ, რა მოხდა 5 ნოემბერს, დილით, ეს იყო ცირკი! საპატრიარქო იტყუება და შემდეგ ჩვენ გვიქადაგებს ქრისტიანობას, რომ არ უნდა მოვიტყუოთ და ქრისტიანული წესით ვიცხოვროთ. მე არ მჯერა იმ საპატრიარქოსი!

ფესტივალი უნდა ჩატარებულიყო დადიანების სასახლის ეზოში, სადაც სალხინოს მონასტერია – ის საპატრიარქოს საკუთრებაა, მაგრამ ჩვენ მხოლოდ იმ ადგილს ვიყენებთ. ეს ფესტივალი პეტრე ცაავას ეპარქიაში მოღვაწეობის დროს დაფუძნდა, ჩვენ ვატარებდით ფესტივალს და ხელი არასდროს შეგვშლია, პანდემიის მიუხედავადაც კი. ასევე ვაგრძელებდით მეუფე პეტრეს წასვლის შემდეგაც იმიტომ, რომ ეს არ არის საპატრიარქოს კუთვნილება, ეს არის კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული ფესტივალი. კულტურის სამინისტროს მიერ ფინანსდება და ადგილობრივი ბიუჯეტიდანაც ვიღებთ დახმარებას. საპატრიარქოს ამაში არაფერი წილი არ აქვს, გარდა იმისა, რომ მათ ტერიტორიაზე ვატარებთ ღონისძიებას. წლევანდელ ფესტივალსაც კულტურის სამინისტრო აფინანსებდა.

ფესტივალზე ძალიან ბევრი უცხოელი მონაწილეა ჩამოსული, თუმცა მარტო უცხოელებისთვის არ ტარდება. ყველაფერი ეს, რევაზ ლაღიძის 100 წლის იუბილეს ეძღვნებოდა. უცხოელებიც შეასრულებდნენ ამ უდიდესი კომპოზიტორის ნაწარმოებებს, იქნებოდა ლამაზი საღამო და ასეც შეგვპირდნენ. უბრალოდ, ცირკი თუ უნდათ, ჩვენ ცირკში მონაწილეობს ნამდვილად ვერ მივიღებთ! ლოკაციას შევუცვლით ფესტივალს და ისე ჩავატარებთ, მხოლოდ იმიტომ, რომ უცხოელები არიან ჩამოსულები და ვალდებული ვართ, ფინანსურადაც და მორალურადაც, საქმე ბოლომდე მივიყვანოთ. ახლა ვეძებთ ახალ ტერიტორიას, სადაც ფესტივალის ჩატარებას შევძლებთ. სხვა გზა არ გვაქვს, აუცილებლად უნდა გავაგრძელოთ, მაგრამ არა იმ ადგილას! რაც 5 ნოემბერს, დილის 07.00 საათიდან მოაწყვეს, არანაირი მორალური უფლება არ გვაქვს, მსგავსი ღონისძიება იქ გავმართოთ!“

ფესტივალის ორგანიზატორს ვკითხეთ, სკანდალი მეუფე პეტრე ცაავას ხომ არ უკავშირდება, რაზეც ბექა ჯუმუტიამ გვიპასუხა, რომ ამ გაუგებრობას პეტრე ცაავას ვერ უკავშირებს:

„ჩემთვის, როგორც მოქალაქისა და ქრისტიანისთვის, საპატრიარქო ბნელი ორგანიზაციაა. დავიბადე და გავიზარდე მაგ უბანში, სიონის ეკლესის პირდაპირ, მთელი ბავშვობა ვხედავდი მათ უკეთურებას და ჩემთვის ისინი არაფერს წარმოდგენენ. ეს ორგანიზაცია რუსული „კა გე ბე“-ს ფილიალია და ახლა თვითონ დააკავშირონ პეტრე და პავლე!“

P.S. „ვერსიამ“ ბექა ჯუმუტიასთან ფესტივალის შესახებ ინფორმაციაც გადაამოწმა:

„ჩვენი სამდღიანი ფესტივალი უკვე დასრულდა, რომელიც მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ჩავატარეთ და ძალიან კარგად დასრულდა. ფესტივალი სხვა ლოკაციაზე გადავიტანეთ, რადგან იქ შეუძლებელი იყო ჩატარება“.

სალხინოს მონასტერში მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით, მარტვილის მერს, თორნიკე ჯანაშიასაც დავკავშირდით, რომელმაც ჩვენს სატელეფონო ზარს არ უპასუხა. პარალელურად, კულტურის სამინისტროსაც დავუკავშირდით, თუმცა უწყებისგან ინფორმაციას ამ დრომდე ველოდებით... სხვათა შორის, ამ საკითხზე კომენტარის მიღება ვერც საპატრიარქოსგან მოვახერხეთ...

სამართალი

№41 10 ნოემბერი 2021 წ

კრიმინალური ექსკლუზივი – საქართველოში მარიხუანას მოპარვა ნაკვეთებიდან დაიწყეს

ბათო ჯაფარიძე

რასაც ახლა მოგიყვებით, შესაძლოა, ბევრს გაუკვირდეს, ბევრი მწარედ ჩაირტყამს გულში მჯიღს და მიხვდება, როგორ გააბითურეს, ბევრი კი იმაზე მეტად გაფრთხილდება, ვიდრე აქამდე ფრთხილობდა. დანაშაული, რომელიც სეზონურია და სწორედ ამ პერიოდში ხდება, მარტივი მიზეზის გამო არ „ბაზრდება“ – მომჩივანი არ არსებობს ანუ ადამიანი, ან ადამიანთა ჯგუფი კარგავს რაღაცას და არ ჩივის. რატომ? – მოდით, ერთ-ერთ დაზარალებულს მოვუსმინოთ.

„მას შემდეგ, რაც მარიხუანას მოწევს, დანაშაულად აღარ ითვლება. ხუთმა მეგობარმა გადავწყვიტეთ, რომ გვეყიდა თესლი და დაგვერგო თითო ძირი. ერთი ძირის მოვლას დიდი ჯაფა არ სჭირდება და რაც მთავარია, ეს არც კანონით არის აკრძალული. ყველამ ჩვენს ეზოში დავრგეთ, ვუვლიდით, ვუფრთხილდებოდით და ახლა, როცა მოსავალი უნდა მიგვეღო ანუ როცა ბუჩქი დამწიფდა, ჯერ ერთ მეგობარს დაეკარგა, მერე – მეორეს, მესამეს, მეოთხეს და დადგა ჩემი ჯერიც. ამიტომ, ჩემს ბუჩქზე მორიგეობა დავაწესეთ, ორ-ორი მეგობარი მთელი ღამე ვყარაულობდით, თან გვაინტერესებდა, ვინ გაბედავდა მოსვლას და რაც მთავარია, თუ დავიჭერდით ქურდს, ცხადი იქნებოდა, რომ დანარჩენი ბუჩქებიც მისი მოპარული იქებოდა. იმის მიუხედავად, რომ მარიხუანა დაშვებულია, მშობლებს ეს მაინც არ მოსწონთ და ამიტომ, ბუჩქი ისე გვქონდა დარგული, თუ კარგად არ დაძებნიდი, ვერ იპოვიდი. ვიღაცამ კი პირდაპირ მიაგნო, პირდაპირ მიადგა“, – ამბობს „დაზარალებული“.

როგორ იგეგმება „მოსაწევის“ ქურდობა – თვითმხილველი დეტალებს შიფრავს

მეგობრების ღამის თევამ შედეგი მეოთხე ღამეს გამოიღო – გაიგონეს, როგორ გაჩერდა ნაკვეთის სიახლოვეს მოპედი, როგორ გადმოვიდა ახალგაზრდა ბიჭი ჩუმად და როგორ წავიდა დაბარებულივით იმ ადგილისკენ, სადაც მარიხუანას ბუჩქი იდგა. მეგობრებმა დაუპატიჟებელი სტუმარი მაშინვე გაკოჭეს და ათქმევინეს, ვინ იყო და რა უნდოდა.

„მარიხუანას ქურდი უცხოელი იყო. როგორც აგვიხსნა, საქართველოში ჯერ არ იციან ქურდობის ეს მეთოდი. მიდიხარ დასახლებაში, სოფლებში და „დრონის“ მეშვეობით აკვირდები ადგილებს. სადაც ნახავ მარიხუანას ბუჩქს, მონიშნავ, შემდეგ ლოკაციით ეძებ და მარტივად პოულობ. თურმე, საზღვარგარეთ სამართალდამცავები სწორედ ასე ებრძვიან მათ, რომლებიც აკრძალული მცენარის კულტივირებას ეწევიან. კი თქვა, საკუთარი მოხმარებისთვის მინდოდაო, მაგრამ მგონია, რომ გასაყიდად მოიპარა. ჰოდა, ვინც საკუთარ ეზოსთან „დრონს“ შენიშნავს, იცოდეთ, რომ მარიხუანას ბუჩქს ეძებენ“, – გვითხრა „დაზარალებულმა“.

ზოგადად, „დრონით“ კოკაინის პლანტაციების ძებნა ყველაზე გავრცელებული მეთოდია კოლუმბიაში. კოლუმბიელმა სამართალდამცავებმა არაერთი პლანტაცია აღმოაჩინეს და იმის გამო, რომ შეიარაღებული ბანდიტების არმია იცავდა, მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად, „დრონებითვე“ დაწვეს ან, უბრალოდ, ააფეთქეს.

საქართველოში, როგორც ჩანს, ჯერჯერობით, მხოლოდ მარიხუანას ბუჩქების მოპარვისთვის იყენებენ, მაგრამ თუ ამ პროცესს ძალოვნებიც დახვეწენ და ულტრათანამედროვე „დრონებს“ შესაბამის სიმაღლეზე ასწევენ, ეგებ, ფონიჭალაში, ნარკოტიკების აღებ-მიცემობას პირდაპირ ეთერში უყურონ და დანაშაულის გახსნაც გაიოლდეს.

ბათო ჯაფარიძე

ცნობილ პლასტიკურ ქირურგს არასრულწლოვანი შვილი მოსტაცეს და მოუკლეს

სადისტური შურისძიება ცოლისა და ძაღლის გამო

როცა კონკრეტული პროფესიის ადამიანები საკუთარ საქმეში შეუცვლელები და საუკეთესოები არიან, მათი გვარი და სახელი ყველამ იცის და რაც მთავარია, მათთან მოხვედრა მარტივი არაა. დღესაც კი, კარგი ექიმის კონსულტაციისთვის რიგში დგომა, შესაძლოა, თვეობით მოგიხდეთ და ხომ წარმოგიდგენიათ, რა იქნებოდა მაშინ, როცა საზღვარგარეთ სამკურნალოდ წასვლა მხოლოდ უმაღლესი პარტიული ნომენკლატურის ხვედრი იყო.

საბჭოთა კავშირში ყველამ იცოდა – კაპიტალისტურ ქვეყნებში მცხოვრები მსახიობები თუ მომღერლები ხშირად მიმართავდნენ პლასტიკურ ქირურგიას, საბჭოთა ვარსკვლავებს კი ბუნებრივი სილამაზე ჰქონდათ. ასე იყო ოფიციალურად, რეალურად კი, რაღა თქმა უნდა, საბჭოეთშიც არსებობდნენ პლასტიკური ქირურგები, რომლებიც ცნობილ ვარსკვლავებსა და პარტიული ლიდერების ოჯახის წევრებს ემსახურებოდნენ, მათ შორის, ყველაზე გამორჩეული ოლეგ ილინი გახლდათ, კაცი, რომელსაც, მართლაც, ოქროს ხელი ჰქონდა და მეუღლესთან ერთად, სასწაულებს ახდენდა.

ავტომობილი, ბინა მოსკოვის ცენტრში, აგარაკი სამთავრობო აგარაკების ზონაში – ილინებს ჰქონდათ ყველაფერი, რაზეც კი შეიძლება ეოცნებათ ან არ ეოცნებათ საბჭოთა მოქალაქეებს. მათ ერთადერთი ქალიშვილი, მესამეკლასელი ნასტია ჰყავდათ და ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ, როგორც იქნა, დიასახლისი მეორედაც დაორსულდა.

„1983 წელი იყო, საქართველოში დარეკეს და მოსკოვში 8-კაციანი ჯგუფის წასვლა მოითხოვეს. ეს არ იყო რიგითი საქმე, რადგან ზარი ცენტრალური კომიტეტიდან განხორციელდა ანუ საქმე ძალიან სერიოზულ ამბავთან გვქონდა. ამიტომ, სპეცრეისით, ორ საათში, ჩვენი დელეგაცია ჰაერში იყო და თბილისიდან მოსკოვში მიფრინავდა“, – პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი იმ ისტორიას იხსენებს, რომელმაც მაშინ მთელი საბჭოთა კავშირი შეძრა.

საქართველოდან ჩასულ სამართალდამცავებს მოსკოველმა კოლეგებმა აუხსნეს, რომ საბჭოთა კავშირის ყველაზე ცნობილი პლასტიკური ქირურგების – ილინების ერთადერთი ქალიშვილი, ნასტია გაიტაცეს და მის სანაცვლოდ, 20 ათას მანეთს ითხოვდნენ. რაც მთავარია, ითხოვდნენ სასწრაფოდ, მეორე საღამოს, ყოველგვარი ვაჭრობის გარეშე.

და რა შუაში იყო ქართული მილიცია? – გამტაცებელი, რომელმაც დარეკა, კავკასიური აქცენტით საურობდა და ბავშვის დედა ამტკიცებდა, ის არ იყო არც აზერბაიჯანელი და არც – სომეხი, ქართველი იყო, რადგან კავკასიურ აქცენტებს ძალიან კარგად ვარჩევო. ჰოდა, ქართველ სამართალდამცავებს ანალოგიურ დანაშაულში ეჭვმიტანილების სია უნდა დაედოთ, ან ის უნდა ეთქვათ, ვის შეიძლებოდა გაერისკა ასეთი თავხედური გატაცება და რაც მთავარია, რატომ 20 ათასი, როცა ოჯახი ძალიან მარტივად იშოვიდა, თუნდაც 50 ათასს?

საინტერესო იყო ისიც, რომ ფულის გადაცემა მოსკოვის ერთ-ერთ ცენტრალურ გზაზე უნდა მომხდარიყო. მამამ ფული, მოთხოვნისამებრ, ტყავის ჩანთაში ჩადო და გზის პირას, ტროტუარზე დადგა. მოშორებით სამართალდამცავთა „ვოლგა“ იდგა, ხოლო ფეხით, ახლო-მახლო, 50-ზე მეტი ოპერი მოძრაობდა. გამტაცებლები არსად ჩანდნენ, მაგრამ მაშინ, როცა ყველა მოეშვა, საიდანღაც ნელა მოძრავი „ჟიგული“ გამოჩნდა, ოლეგ ილინს ძალიან ახლოს ჩაუარა, ხელიდან ჩანთა გამოგლიჯა და ადგილიდან მოწყდა. სანამ სამართალდამცავები აზრზე მოვიდოდნენ, მანქანა დიდი სიჩქარით გავარდა ცენტრალურ გზაზე და... დაიკარგა.

სამართალდამცავებისთვის ეს უდიდესი მარცხი იყო, მაგრამ ისინი იმედოვნებდნენ, რომ გოგონა საღამოს შინ დაბრუნდებოდა, რადგან ჩანთაში, მართლაც, 20 ათასი იდო, ნამდვილი კუპიურები. მომხდარიდან მეორე დღეს, დილით, შემთხვევითმა გამვლელებმა გატაცებული ბავშვის გვამი იპოვეს. ის, უბრალოდ, გაგუდული იყო.

როცა დედ-მამას ამის შესახებ უთხრეს, ქალს ისტერიკა დაემართა და სწორედ ამ ისტერიკის დროს ქმარს უთხრა, ყველაფერი შენი და შენი მეგობრების ბრალიაო. რაღა თქმა უნდა, სამართალდამცავებმა ქალის დაკითხვა გადაწყვიტეს და...

„ის „კა-გე-ბე“-ს დაკვეთით, ცნობილი ადამიანების ორეულებს ქმნის და როგორც ჩანს, რაღაც არ გამოუვიდა. ყველა ჩინოვნიკს ჰყავს ორეული და ისინი ჩემი ქმრის მიერ არიან შექმნილები, ოპერაცია მან გაუკეთა“, – თქვა ქალმა და შს სამინისტროს თანამშრომლები პირღია დატოვა.

რა თქმა უნდა, ქალის განცხადება უყურადღებოდ არ დავერ დარჩებოდა. უშიშროების სამსახურმა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს ყურადღებით მოუსმინა და თქვა, რომ ყველაფერი ეს ჭორია და რეალურად, პლასტიკურ ქირურგს კარგად არც კი იცნობდნენ, რაც აშკარა ტყუილი იყო.

მოსკოვის მთელი მილიცია კი ეძებდა გამტაცებელს ან გამტაცებლებს კავკასიური აქცენტით. რუსეთში მყოფი ქართველი კრომინალები გადაამოწმეს, თუმცა ეჭვი ვერავისზე მიიტანეს და ამ დროს მეორე ბომბი აფეთქდა – დილით, საკუთარი სახლის წინ მდებარე სკვერში, სკამზე, გარდაცვლილი ოლეგ ილინი იპოვეს. ერთი შეხედვით, ჩანდა, რომ მან არყის დიდი დოზა მიიღო და გაიყინა, მაგრამ ექსპერტიზამ დაასკვნა – მას კლოფელინის დიდი დოზა დაალევინეს და ყინვა რომც არ ყოფილიყო, მაინც ვერ გადარჩებოდა.

სამართალდამცავები საერთოდ დაიბნენ – გატაცებულ ბავშვს ვინ ჩივის, აგერ, ოჯახის უფროსიც მოკლეს. ერთი ის იყო, რომ ყველა მიხვდა – ეს არ გახლდათ რიგითი შემთხვევა, ვიღაცამ შური იძია და თან ძალიან სასტიკად – კაცს ჯერ შვილი მოუკლა და უდიდესი სიმწარე აგრძნობინა, შემდეგ კი თავადაც გამოასალმა სიცოცხლეს.

ამასობაში, კიდევ ერთი სკანდალი აგორდა. გამომძიებლებს მიაწოდეს ინფორმაცია, რომ მოკლული პლასტიკური ქირურგის ცოლი ორსულად... ხილის გადამამუშავებელი დირექტორისგან იყო. ოპერმუშაკებმა დირექტორს მიაკითხეს და მისი ცოლის ისტერიკაც მოისმინეს.

„შემეშვით, დაანებეთ თავი ჩემს ქმარს, გამტაცებლებმა გასაგებად თქვეს, რომ მას მოკლავენ, თუ პოლიცია ჩაერევა. მე გადავიხადე ფული, ახლა ველოდები, როდის გამოუშვებენ, თქვენ არ უნდა ჩაერიოთ“, – კიოდა ქალი.

როგორც გაირკვა, იმ დილით, როცა პლასტიკური ქირურგი გარდაცვლილი იპოვეს, ჩვეულებისამებრ, ქარხნის დირექტორი სამსახურში წავიდა და დანიშნულების ადგილამდე ვერ მივიდა. ის გზიდან გაიტაცეს, მისი მანქანა კი გზაზე უპატრონოდ დააგდეს. შემდეგ გამტაცებელმა დარეკა და... კავკასიური აქცენტით, 20 ათასი მანეთის მიტანა მოითხოვა კონკრეტულ ადგილზე. ცოლმა უსიტყვოდ შეასრულა მითითება, რადგან გამტაცებლის შემდეგ ტელეფონში მისი ქმრის განწირული ხმა გაისმა, მილიციას არაფერი შეატყობინო, რასაც გეუბნებიან, ის გააკეთეო.

სამართალდამცავებმა ქარხნის დირექტორის გვამი მეორე დღეს, ტყის ზოლთან იპოვეს. ის გაგუდული იყო.

„რადგან მეორე შემთხვევაშიც კაავკასიური აქცენტის თემამ წამოიწია, გადაწყდა, გავლენიანი კრიმინალები დაგვეკავებინა, მაგრამ მოულოდნელად გამოჩნდა მოწმე, რომელმაც თქვა, რომ დაინახა, როგორ ჩატენეს ბავშვი მანქანაში ანუ ის იყო პირველი გატაცების თვითმხილველი. რაც მთავარია, მან იცნო ორი გამტაცებლიდან ერთ-ერთი და სახელიც გვითხრა. ჯერ ერთი დავაკავეთ, შემდეგ – მეორე. ორივე ეროვნებით რუსი იყო და წარსულში, ორივე მათგანი – მცირე დანაშაულისთვის ნასამართლევი“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ყველაზე ცუდი ის გახლდათ, რომ დაკავებულებმა არ იცოდნენ ბანდის მეთაურის ნაამდვილი სახელი და მას მეტსახელით, „პეტროვიჩით“ მიმართავდნენ. ის იყო ბანდის მეთაური, მითითებებს ტელეფონით იძლეოდა და ფულს წინასწარ დათქმულ ადგილზე უტოვებდა. ორივე გატაცებული მას მანქანაში დაუტოვეს და შემდეგ რა ბედი ეწიათ, არ იცოდნენ.

დაკავებლებმა დაადასტურეს, რომ ტელეფონში „პეტროვიჩი“ მუდმივად კავკასიური აქცენტით საუბრობდა.

შეამოწმეს დაკავებულების სახლის ტელეფონი და დაასკვნეს, რომ მამაკაცი ყოველთვის ერთი და იგივე ქუჩის ავტომატიდან რეკავდა. აგენტურული ქსელის მეშვეობით მოიკითხეს „პეტროვიჩი“, მაგრამ ასეთს ვერავის მიაგნეს. კრიმინალურ წრეებშიც არავინ იცოდა, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო სასტიკი შურისმაძიებელი. ბედის ირონიით, სამართალდამცავებს მშველელად რიგითი ლოთი მოევლინათ. ის გამოსაფხიზლებელში მიიყვანეს და ექიმი მოითხოვა, ძაღლმა დამკბინაო. როცა ექიმი მოვიდა, ლოთმა გინება დაიწყო, მართალია, რომ ძაღლი პატრონს ჰგავს, „პეტროვიჩი“ მისი პატრონივით ავიაო. ეს სახელი მილიციის განყოფილებაში ყველამ იცოდა და ამიტომ, მორიგემ ყურები ცქვიტა. როცა ლოთი გამოფხიზლდა, თქვა, რომ მის მეზობელს, მილიციის ყოფილ მაიორს, უზარმაზარი ძაღლი ჰყავდა და მას „პეტროვიჩს“ ეძახდა.

„ყოფილი მაიორი ნიკოლაი იასტრებოვი გახლდათ. რა თქმა უნდა, სამხილების გარეშე ვერ დავაკავებდით. ამიტომ, მის გარშემო ინფორმაციის შეკრება დავიწყეთ. როგორც გაირკვა, ორი წლის წინ, მისმა ცოლმა, სწორედ ილინთან გაიკეთა პლასტიკური ოპერაცია, რომელიც წარუმატებლად დამთავრდა. ამის შემდეგ, ქალი შინიდან ვერ გამოდიოდა, ისე დაუმახინჯდა სახე. გადაწყდა, მისი სახლი გაგვეჩხრიკა. მართალია, ქარხნის დირექტორის ცოლის მიერ გადახდილი ფულის ნომრები არ ვიცოდით, მაგრამ ზუსტად ვიცოდით იმ კუპიურების ნომრები, რომლებიც ილინმა გადასცა. სწორედ მათი პოვნის იმედი გვქონდა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ჩხრეკამ შედეგი გამოიღო. იასტრებოვი იმდენად იყო დარწმუნებული, რომ ყველაფერი ზუსტად გააკეთა, ფული დამალული არც კი ჰქონდა და „სერვანდში“ ედო. პირველივე დაკითხვაზე აღიარა დანაშაული და განაცხადა, რომ ამ ქვეყნად, ძაღლისა და მეუღლის გარდა არავინ ჰყავდა და მათ გამო ყველაფერზე იყო წამსვლელი.

გოგონა გატაცებიდან რამდენიმე საათში მოკლა.

რაც შეეხება ქარხნის დირექტორს, თურმე, არცთუ დიდი ხნის წინ, მის ძაღლს მანქანით დაეჯახა და ფეხი მოსტეხა. კავკასიური აქცენტიც სწორედ იმიტომ აირჩია, კვალი რომ აერია და აკი, გამოუვიდა კიდეც.

იასტრებოვს დახვრეტა მიუსაჯეს. მან სიკვდილის წინ, ცოლის ნახვა ისურვა, თუმცა ქალმა თავად თქვა უარი ქმართან შეხვედრაზე, რადგან ბავშვის მკვლელობა ვერ აპატია. ძაღლმა კი, მაიორის დაკავების შემდეგ, საკვები არავისგან მიიღო და შიმშილით მოკვდა იქამდე, ვიდრე მის პატრონს დახვრეტდნენ.

საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ძალების ხომალდები შემოვიდნენ

საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ამერიკის შეერთებული შტატების მე-6 ფლოტის სამეთაურო ხომალდი – USS Mount Whitney (LCC 20) და საზღვაო ხომალდი – USS Porter (DDG 78) შემოვიდნენ. ხომალდების ეკიპაჟების წევრებს ბათუმის პორტში შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის დირექტორი, პირველი რანგის კაპიტანი, რამაზ პაპიძე და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, თორნიკე რიჟვაძე დახვდნენ.

აშშ-ის საზღვაო ძალების ხომალდების ვიზიტი ხაზს უსვამს მნიშვნელოვან ურთიერთობას ნატოს მოკავშირეებსა და შავი ზღვის რეგიონის მნიშვნელოვან პარტნიორს – საქართველოს შორის, ასევე, ადასტურებს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის წარმატებულ თანამშრომლობას და მიზნად ისახავს საზღვაო უსაფრთხოების გაძლიერებას, აშშ-ის რეგიონული პარტნიორების სტაბილურობის უზრუნველყოფას, მზადყოფნისა და საზღვაო შესაძლებლობების გაზრდას.

საქართველოში საპორტო ვიზიტის ფარგლებში, ორი ქვეყნის საზღვაო დანაყოფების წარმომადგენლები, გამოცდილების გაზიარების მიზნით, სხვადასხვა შეხვედრას გამართავენ, ასევე, ერთობლივი საზღვაო წვრთნები გაიმართება შავ ზღვაში, რაც ხელს შეუწყობს ეკიპაჟებს შორის ურთიერთქმედების გაუმჯობესებასა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის შესაძლებლობების განვითარებას.

ხომალდები – USS Mount Whitney და USS Porter საზღვაო ოპერაციებს ამერიკის მე-6 ფლოტის სამოქმედო არეალში ახორციელებენ. მე-6 ფლოტი, რომელიც ბაზირებულია ნეაპოლში, ერთობლივი და საზღვაო ოპერაციების სრულ სპექტრს ახორციელებს. ოპერაციები ტარდება მოკავშირეებსა და პარტნიორებთან კოორდინირებულად, რათა ხელი შეუწყონ ევროპასა და აფრიკაში უსაფრთხოებასა და სტაბილურობას.

USS Mount Whitney (LCC 20) აშშ-ის მე-6 ფლოტის ფლაგმანი ხომალდია. „ბლუ რიჯის“ კლასის სამეთაურო გემი აღჭურვილია ახლო მანძილის თავდაცვითი შეიარაღებით. აღნიშნული ხომალდი საქართველოს მეხუთედ სტუმრობს. მასზე წარმოდგენილია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საზღვაო დამრტყმელი და მხარდამჭერი ძალების მეთაურობა, რომელსაც ხელმძღვანელობს მე-6 ფლოტის უფროსი, ევროპასა და აფრიკაში აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ძალების მეთაურის მოადგილე, ვიცე-ადმირალი ეუჯინ ბლექი.

USS Porter (DDG 78) კი აშშ-ის საზღვაო ძალების „არლი ბურკის“ კლასის მართვადი სარაკეტო გამანადგურებელია, რომელსაც შეუძლია წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო საომარი მოქმედებებისა და ბალისტიკური სარაკეტო თავდაცვის წვრთნებისა და ოპერაციების ჩატარება. ხომალდი საქართველოს მეოთხედ ეწვია.

ცნობილი ქართველი „კანონიერი ქურდის“ შვილს ქურდის ტიტული ჩამოართვეს

დიდი კრიმინალური „სხადნიაკი“ თურქეთში

ბათო ჯაფარიძე

ქართული მიუზიკლი „ვერის უბნის მელოდიები“ და განუმეორებელ მსახიობთა გუნდი ყველამ კარგად იცის. ქართველი მსახიობების გარდა, ერთ-ერთი სახასიათო როლი რუსული კინოს ვარსკვლავმა, ალისა ფრეინდლიხმა შეასრულა. სწორედ მაშინ, როცა ფილმის გადაღებები მიდიოდა, შუა თბილისში, ფრეინდლიხს „დუბლიონკა“ (ზამშის ქურქი) გახადეს. უცნობმა მამაკაცმა ლეგენდარულ მსახიობს დანა დაადო და ძვირფასი ნივთი წაართვა. ქართულმა მილიციამ მთელი „ქურდული სამყარო“ ფეხზე დააყენა და დამნაშავე მალე იპოვეს – ის ამირან ებრალიძე გამოდგა, ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკმაოდ გამოცდილი კრიმინალი, რომელიც მალე გახდა „კანონიერი ქურდი“ და მისი სახელი დღემდე დიდი პატივისცემით მოიხსენიება. იმის მიუხედავად, რომ ებრალიძე დღეს 75 წლისაა, მისი სიტყვა ძვირად ფასობს და რაც მთავარია, „ამირან ლანჩხუთსკის“ ერთ-ერთი ყველაზე სამართლიანი „კანონიერი ქურდის“ სახელი აქვს.

მამის კვალს გაჰყვა მისი შვილი დავითიც, თუმცა მამისგან განსხვავებით, მას რამდენჯერმე კონფლიქტი მოუვიდა სხვა „კანონიერ ქურდებთან“ და ამის გამო ტიტული ერთხელ უკვე დაკარგა, თუმცა მამის გავლენითა და კავშირებით, მალევე დაიბრუნა. ამის მიუხედავად, უმცროს ებრალიძეს კვლავ კონფლიქტი მოუვიდა კოლეგებთან და წინა თვის ბოლოს, თურქეთში დიდი „ხსადნიაკიც“ გაიმართა, რომელსაც არაერთი „კანონიერი ქურდი“ დაესწრო. მათ შორის იყო ამირან ებრალიძეც, რომელიც, რაღა თქმა უნდა, შვილის ინტერესებს დაიცავდა, თუმცა...

„ამირანს ისეთი ავტორიტეტი აქვს, რომ მის გარეშეც, დანარჩენმა ქურდებმა მარტივად გადაწყვიტეს – დათო ებრალიძეს ბოდიში უნდა მოეხადა, უნდა ეთქვა, რომ შეეშალა და კვლავ ქურდად დარჩებოდა. ამას ორივე ხელთ დაეთანხმა თავად უხუცესი ქურდი, მაგრამ ებრალიძე-უმცროსმა ბოდიშის მოხდაზე კატეგორიული უარი განაცხადა. საბოლოოდ, მისი უარი დანარჩენმა ქურდებმა არ მიიღეს და დათოს ტიტული ჩამოართვეს, რასაც ამირანიც დაეთანხმა“, – გვეუბნება ამ შეკრებაზე მყოფი, უცხოეთში მცხოვრები ერთ-ერთი ქართველი „კაი ბიჭი“.

უდიდესი ალბათობით, ამირანი მაინც შეეცდება, რამდენიმე თვის შემდეგ გავლენიანი ქურდები ამ საკითხს დაუბრუნდნენ და მის შვილს ტიტული აღუდგინონ, თუმცა ასეც რომ არ მოხდეს, თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ სანამ უფროსი ებრალიძე ცოცხალია, მის შვილს ბუზს ვერავინ აუფრენს.

ქვემო ქართლის პოლიციამ ფონიჭალასა და მარნეულში ნარკოდანაშაულისთვის ორი პირი დააკავა – ამოღებულია 1 კგ-ზე მეტი ნარკოტიკული საშუალება

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1974 წელს დაბადებული ნ.ქ. მარნეულში, ხოლო1992 წელს დაბადებული ლ.კ. ფონიჭალის დასახლებაში დააკავეს.

მათ ბრალად განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა ედებათ. დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, ფონიჭალის დასახლებაში, ლ.კ.-ის პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს „ჰეროინის“ შემცველი 700 გრამი ნარკოტიკული საშუალება. რაც შეეხება ნ.ქ.-ს, პოლიციამ იგი ქალაქ მარნეულში დააკავა. სამართალდამცველებმა, მისი პირადი და საცხოვრებელი სახლის დამხმარე ნაგებობის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს „ჰეროინის“ შემცველი ნახევარ კილოგრამზე მეტი ნარკოტიკული საშუალება.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილით მიმდინარეობს.

პოლიციამ რუსთავში ძალადობის ბრალდებით ორი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის რუსთავის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ძალადობის ბრალდებით, ორი პირი: 2000 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ე.ა. და 2001 წელს დაბადებული რ.ჭ დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, მიმდინარე წლის 3 ნოემბერს, #12 პენიტენციურ დაწესებულებასთან გამართული აქციის ერთ-ერთ მონაწილეს, 1999 წელს დაბადებულ გ.ბ.-ს, აქციიდან სახლში დაბრუნებისას, რუსთავში, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

ძალადობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით მიმდინარეობს.

პოლიციამ კომპიუტერული მონაცემების უკანონოდ მოპოვებისა და კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვებისა და ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, კომპიუტერულ სისტემაში არაერთგზის უნებართვო შეღწევის ბრალდებით დააკავეს 1998 წელს დაბადებული ლ.შ., რომელიც წარსულში ანალოგიური დანაშაულისთვის იყო ნასამართლევი.

გამოძიებით დადგინდა, რომ ლ.შ.-მ, სოციალურ ქსელ Facebook-ზე შექმნა გვერდი, რომლის საშუალებითაც მას მოქალაქეები შეცდომაში შეჰყავდა, თითქოს დაბალპროცენტიან სწრაფ სესხებს გასცემდა.

დაინტერესებული მოქალაქეები აღნიშნულ გვერდზე საკუთარი საბანკო პლასტიკური ბარათების მონაცემებს აგზავნიდნენ, რომლებიც რეალურად ლ. შ.-ს პირად გვერდზე იგზავნებოდა. მონაცემების მიღების შემდეგ, ბრალდებული მოქალაქეების კუთვნილი ანგარიშებიდან ტოტალიზატორის ანგარიშზე სხვადასხვა თანხას ირიცხავდა, შემდეგ კი პლასტიკური ბარათით ანაღდებდა.

გამოძიების ამ ეტაპზე დადგენილია 14 დაზარალებული, მათთვის მიყენებული ზარალი კი 3 930 ლარს შეადგენს.

პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვებისა და ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, კომპიუტერულ სისტემაში არაერთგზის უნებართვო შეღწევის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 286-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და 157-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

პოლიციამ გორში ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისა და ძალადობის ფაქტებზე ორი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ორი პირი: 1969 წელს დაბადებული მ.ნ. და 1996 წელს დაბადებული ტ.ნ დააკავეს.

მ.ნ.-ს ბრალი ედება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაში, ხოლო ტ.ნ. დაკავებულია ძალადობის ბრალდებით.

გამოძიებით დადგინდა, რომ მ.ნ.-მ მიმდინარე წლის 5 ნოემბერს, გორში, ფინანსური დავის ნიადაგზე წარმოქმნილი ურთიერთშელაპარაკებისას, ნაცნობს – 1972 წელს დაბადებული რ.გ.-ს ბასრი საგნის გამოყენებით სხეულზე ჭრილობები მიაყენა. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწია. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ მ.ნ.-სა და რ.გ.-ს შორის მომხდარი დაპირისპირებისას, შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ ბრალდებული მ.ნ.-ის შვილი – ტ.ნ. და დაჭრილი მამაკაცის შვილი – 2001 წელს დაბადებული ს.გ., რომელსაც ტ.ნ.-მ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

პოლიციამ მ.ნ. და ტ.ნ მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავა.

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისა და ძალადობის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 117-ე და 126-ე მუხლებით მიმდინარეობს.

პოლიციამ თბილისსა და ქობულეთში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღო – დაკავებულია ორი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და ქობულეთში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები, ასევე, უკანონო საბრძოლო მასალა ამოიღეს.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 1999 წელს დაბადებული ლ.ბ. თბილისში, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით, ადგილზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა მისი პირადი ჩხრეკისას ნივთმტკიცების სახით ამოიღეს ბრაუნინგის მოდელის ცეცხლსასროლი იარაღი და მჭიდი.

რაც შეეხება მეორე პირს, 1991 წელს დაბადებული გ.კ. აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ქობულეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისთვის დააკავეს. სამართალდამცველებმა, ქალაქ ქობულეთში, ბრალდებულის დროებით საცხოვრებელ ბინაში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს: „აკს“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, გადაჭრილი სანადირო თოფი, 2 მჭიდი და 46 საბრძოლო ვაზნა.

დანაშაულები 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ორივე ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

სანიოლმა ბოლო შეხვედრისთვის ჯვაროსნებს უხმო

საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის ბოლო შეხვედრისთვის ემზადება. ჩვენი ნაკრები 11 ნოემბერს, შვედეთს ბათუმში შეხვდება, ხოლო უზბეკეთთან ამხანაგურ მატჩს 15 ნოემბერს, გორში გამართავს. თუ ვილი სანიოლის შეგირდებს ჯგუფში ბოლო ადგილის დაკავება არ სურთ, შვედეთთან, მინიმუმ, არ უნდა წააგონ, თუმცა თავის მხრივ, შვედებს ჯგუფში პირველი ადგილის გასანაღდებლად და მუნდიალზე პირდაპირ მოსახვედრად, ბათუმიდან სამი ქულის წაღება აწყობთ. წლის დასკვნითი მატჩებისთვის, ფრანგმა სპეციალისტმა ნაკრებში შემდეგ ფეხბურთელებს უხმო:

მეკარეები: გიორგი ლორია („ანორთოსისი“, კვიპროსი), ლაზარე კუპატაძე („დინამო“, ბათუმი), ლუკა გუგეშაშვილი („დილა“, გორი);

მცველები: გურამ კაშია (სლოვანი, სლოვაკეთი), ოთარ კაკაბაძე („კრაკოვია“, პოლონეთი), დავით ხოჭოლავა (კოპენჰაგენი, დანია), გურამ გიორბელიძე („დინამო“, დრეზდენი, გერმანია), გრიგოლ ჩაბრაძე, ირაკლი აზაროვი (ორივე „დინამო“, ბათუმი), ლუკა ლოჩოშვილი (ვოლფსბერგი, ავსტრია), ლაშა დვალი (ფერენცვაროში, უნგრეთი);

ნახევარმცველები: ჯაბა კანკავა (სლოვანი, სლოვაკეთი), საბა ლობჟანიძე („ჰათაისპორი“, თურქეთი), ნიკა კვეკვესკირი („ლეხი“, პოლონეთი), ხვიჩა კვარაცხელია („რუბინი“, რუსეთი), ზურიკო დავითაშვილი („არსენალი“, ტულა, რუსეთი), ვაკო გვილია („რაკუვი“, პოლონეთი), ვლადიმერ მამუჩაშვილი („დინამო“, ბათუმი), გიორგი აბურჯანია („ჟილ ვისენტე“, პორტუგალია), გიორგი წიტაიშვილი („ჩერნომორეცი“, უკრაინა);

თავდამსხმელები: ვაკო ყაზაიშვილი („ულსან ჰიუნდაი“, სამხრეთი კორეა), გიორგი ჩაკვეტაძე („გენტი“, ბელგია), თორნიკე ოქრიაშვილი („აპოელი“, კვიპროსი), ნიკა კაჭარავა („ანორთოსისი“, კვიპროსი), გიორგი მიქაუტაძე („სერენი“, ბელგია).

ქართველებმა უნგრეთი დაიპყრეს

უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში, ძიუდოისტთა შორის ევროპის 23-წლამდელთა ჩემპიონატი გაიმართა. ქართული დელეგაციისთვის ყველაფერი იმაზე კარგად დასრულდა, ვიდრე ყველაზე ოპტიმისტი გულშემატკივარი იფიქრებდა. ინდივიდუალური პირველობით დავიწყოთ.

ყველაზე საინტერესო -81 კგ. წონითი კატეგორია იყო, სადაც გულშემატკივარმა ქართული ფინალი იხილა და ვლადიმერ ახალკაცი, ოქროსთვის ბრძოლაში, ტატო გრიგალაშვილმა დაამარცხა. 100 კილოგრამში ილია სულამანიძემ მასპინძელთა ჯილას, უნგრელ მეტოქეს აჯობა და ქართულ დელეგაციას მეორე ოქროს მედალი შემატა. ამავე წონაში, გიორგი ჩიქოვანმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. გოგონათა შორის, ოქროს მედლისთვის შეხვედრა წააგო სოფიო სომხიშვილმა. ის გერმანელ მეტოქესთან დამარცხდა. +100 კილოგრამში კი გელა ზაალიშვილმა მოიპოვა ბრინჯაოს მედალი. ვერცხლის მედალს დასჯერდა ალეკო მამიაშვილიც (-73 კგ.), რომელმაც ფინალი რუსეთის სახელით მოასპარეზე არმენ აგაიანთან წააგო. კიდევ ერთი ბრინჯაო კი გიორგი თუთაშვილის (-66 კგ.) ანგარიშზეა.

ყველაზე საინტერესო კი გუნდური შეჯიბრება იყო. მოგეხსენებათ, ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, ძიუდოისტები შერეული გუნდით გადიან ანუ გოგონები და ვაჟები. ამ წესის შემოღების შემდეგ, ქართულ დელეგაციას არცერთ ასაკობრივ ნაკრებში მედალი არ ჰქონდა, რადგან ქალთა ძიუდო ჩვენთან ისე პოპულარული ვერ არის და მხოლოდ თითებზე ჩამოსათვლელი სპორტსმენები გვყავს. თუმცა, ახალგაზრდულ გუნდში გოგონებმა ბიჭებს მხარი აუბეს და გუნდური პირველი ადგილი არავის დაუთმეს. რაც განსაკუთრებით სასიამოვნოა, ფინალში ჩვენმა ნაკრებმა რუსეთის ნაკრები 4:2 დაამარცხა და ევროპის ჩემპიონატი ქართული ჰიმნით დახურა.

შევჩენკო იტალიაში მწვრთნელად დაბრუნდა

იტალიური „მილანისა“ და უკრაინის ნაკრების ლეგენდარული ფორვარდი ანდრეი შევჩენკო არც თუ დიდი ხნის წინ, თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდს წვრთნიდა, თუმცა შემდეგ კონტრაქტი აღარ გაახანგრძლივა, რადგან ხელფასის შემცირებას არ დათანხმდა. ამის მიუხედავად, შევა უმუშევარი დიდ ხანს არ დარჩენილა და იტალიური „ჯენოას“ მთავარი მწვრთნელის რანგში მოგვევლინა. ამის შესახებ განცხადება კლუბის პრეზიდენტმაც გააკეთა და არც ის დამალა, რომ შევჩენკოსთან კონტრაქტი 2+1 სისტემით გაფორმდა.

იტალიის ჩემპიონატში 12 ტური მიილია და „ჯენოამ“ მხოლოდ ერთი შეხვედრის მოგება მოახერხა. მწვრთნელის შეცვლა ამიტომაც გადაწყდა და უკრაინელ სპეციალისტს ახალ გუნდში დებიუტი 21 ნოემბერს ექნება. „ჯენოა“ დედაქალაქურ „რომას“ დაუპირისპირდება, გუნდს, რომელსაც ცნობილი სპეციალისტი, ჟოზე მაურინიო თავკაცობს.

გორგოძე აღარ ხუმრობს – ეკამ მესამე ტურნირი მოიგო

ქართველმა ჩოგბურთელმა, ეკატერინე გორგოძემ შემოდგომაზე საოცრება მოახდინა და წყვილთა თანრიგში, აგერ უკვე მესამე ტურნირი მოიგო. ეკამ ჯერ 12 სექტემბერს, ირინა მარია ბარასთან (რუმინეთი) ერთად, კარლსრუეს 125.000-იანი ტურნირი მოიგო, შემდეგ ვალენსიის 80.000-იან ტურნირში, ისალინ ბონავენტურესთან (ბელგია) ერთად იმარჯვა, ახლა კი არგენტინის 125.000-იან შეჯიბრებაზე ისევ ბარასთან ერთად იპირველა.

ქართულ-რუმინული დუეტი ტურნირზე პირველ ნომრად იყო განთესილი. ფინალში გორგოძე და ბარა 7 ნოემბერს, არგენტინელ მარია კარლისა და ბერძენი დესპინა პაპამიხალის ტანდემს დაუპირისპირდნენ. შეხვედრა საათსა და 49 წუთს გაგრძელდა. ქართულ-რუმინული წყვილი პირველ ხელში წინ იყო 5:3, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და 5:7 წააგო. სამაგიეროდ, მომდევნო ორ სეტში გაიმარჯვა – 7:5, 10:4 და პირველი ადგილი დაიკავა.

ჯანსაღი ცხოვრება და მილიარდები

ცნობილი სპორტსმენები უფულობას რომ არ უჩივიან, ცნობილი ამბავია. იშვიათად, რომელიმე მათგანი კონტრაქტებს გრიფით საიდუმლოს ადებდეს. ეს უფრო პოსტ-საბჭოთა სივრცის წარმომადგენლებს ახასიათებდათ, რადგან როცა ისინი ევროპაში მიდიოდნენ სათამაშოდ, 15 რესპუბლიკიდან პრაქტიკულად ყველაში, მართვის სადავეები ხელთ კრიმინალებს ეპყრათ და როგორც კი ყურს მოკრავდნენ, რომ რომელიმე წარმატებულ სპორტსმენს სოლიდურ ჯამაგირს უხდიდნენ, ან წილში უჯდებოდნენ, ან ოჯახის წევრს სტაცებდნენ, ან სიკვდილის მუქარით აიძულებდნენ თანხა გადაეხადათ.

პოპულარულმა გამოცემა Sportico-მ შეადგინა იმ 25 წპორტსმენის სია, რომლებმაც კარიერის განმავლობაში, ყველაზე მეტი თანხის მიღება შეძლეს. ტოპ-25-ში, სპორტის 8 სახეობის წარმომადგენლები მოხვდნენ, რომელთა საერთო შემოსავალმა 25.5 მილიარდი დოლარი შეადგინა (გათვალისწინებულია ასევე ფულის ინფლაციაც). მაშ ასე, ტოპ-25 უმდიდრესი სპორტსმენის სია ასე გამოიყურება (რამდენიმე მათგანს კარიერა ჯერ არ დაუსრულებია, რამდენიმე გარდაცვლილია):

1. მაიკლ ჯორდანი (კალათბურთი) – 2.62 მილიარდი დოლარი;
2. ტაიგერ ვუდსი (გოლფი) – 2,1 მილიარდი;
3. არნოლდ პალმერი (გოლფი) – 1.5 მილიარდი;
4. ჯეკ ნიკლაუსი (გოლფი) – 1.38 მილიარდი;
5. კრიშტიანუ რონალდუ (ფეხბურთი) – 1.24 მილიარდი;
6. ფლოიდ მეივეზერ უმცროსი (კრივი – 1.2 მილიარდი;
7. ლებრონ ჯეიმსი (კალათბურთი) – 1.17 მილიარდი;
8. ლიონელ მესი (ფეხბურთი) – 1.14 მილიარდი;
9. მიხაელ შუმახერი (ავტორბოლა) – 1.13 მილიარდი;
10. როჯერ ფედერერი (ჩოგბურთი) – 1.12 მილიარდი;
11. ფილ მიკელსონი (გოლფი) – 1.08 მილიარდი;
12. დევიდ ბექჰემი (ფეხბურთი) – 1.05 მილიარდი;
13. კობი ბრაიანტი (კალათბურთი) – 930 მილიონი;
14. შაკილ ონილი (კალათბურთი) – 870 მილიონი;
15. გრეგ ნორმანი (გოლფი) – 815 მილიონი;
16. ალექს როდრიგესი (ბეისბოლი) – 650 მილიონი;
17. მენი პაკიაო (კრივი) – 630 მილიონი;
19. კევინ დურანტი (კალათბურთი) – 625 მილიონი;
20. ლუის ჰემილტონი (ავტორბოლა) – 620 მილიონი;
21. ნეიმარი (ფეხბურთი) – 615 მილიონი;
22. ჯეფ გორდონი (ავტორბოლა) – 595 მილიონი;
23. ოსკარ დე ლა ჰოია (კრივი) – 580 მილიონი;
24. პეიტონ მენინგი (ამერიკული ფეხბურთი) – 570 მილიონი;
25. დერეკ ჯიტერი (ბეისბოლი) – 555 მილიონი.

მსახიობმა კასკადიორები დაასაჩუქრა

ჰოლივუდის პოპულარულმა და ყველასთვის საყვარელმა მსახიობმა, კიანუ რივზმა თაყვანისმცემლები კიდევ ერთხელ აღაფრთოვანა – მან მის ფილმში მონაწილე კასკადიორების გუნდი Rolex Subminer-ის საათებით დაასაჩუქრა. John Wick 4-ის გადაღებების ბოლო დღეს, კიანუმ თითოეულ მათგანს ასეთი სიურპრიზი მოუწყო. Rolex-ის ეს კონკრეტული მოდელი, საშუალოდ, 9500 დოლარი ღირს, თუმცა შეზღუდული რაოდენობის გამო, დღეს მისი ფასი 16 000 დოლარს აღწევს. კასკადიორებმა ამ გულუხვი საჩუქრის ფოტოები სოციალურ ქსელში გამოაქვეყნეს. საატებზე სამახსოვრო წარწერაც გააკეთეს – THE JOHN WICK FIVE და ასევე, პერსონალური მადლობა მსახიობისგან. ცნობილია, რომ კიანუ რივზი გადაღებების დასრულებას გუნდთან ერთად, პარიზში აღნიშნავს.

სვეტების ბარი

სტეფანო ბენი

სვეტების ბარი გოიმების ბარის ისტორიული მეტოქეა და ჩვენი ქვეყნის მეგაპოლისებსა თუ ბურჟუაზიულ უბნებში სულ უფრო და უფრო მეტ სივრცეს იკავებს. როგორ გამოვიცნოთ ნამდვილი გამოსული გოგოებისა და ბიჭების ბარი? ბუნებრივია, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ იქ VIP ადამიანები დადიან, იქნებიან ისინი უცხოელები, ქალაქელები თუ უბნის სამეზობლო, თუმცა სვეტების ბარი განსაკუთრებით ადვილი გამოსაცნობია მისი ზოგიერთი თავისებურებების მიხედვით, რომლებსაც ახლავე გიჩვენებთ.

ა. საკვების მინიატურული ზომები: რაც უფრო პატარა და ძვირადღირებულია საკვები, ბარი მით უფრო პრესტიჟული და მაგარია. ბუფეტზე განლაგებულია მინიატურული ღვეზელები, რომლებიც პაწაწინა კიბორჩხალასაც ვერ დააპურებდა, შეუიარაღებელი თვალისათვის უხილავი ბრიოში, მარწყვის სიროფის დეკორაციებით ან ნახევარი მოცვის მარცვალით მორთული ორცხობილა, თვალის კაკლის ოდენა დონატები. თავისი დიეტის გამო ეჭვით შეპყრობილი სვეტი კლიენტი, ყოველთვის კითხულობს: „უკაცრავად, შიგნით რა არის?“, თითქოს იმ ციცქნა ნაჭრიდან შეიძლება, რაღაც მაგიის გავლენით, ლავასავით ამოფეთქოს ქოლესტერინმა. ბარმენის პასუხი ყოველთვის სტანდარტულია, იქნება ეს მიწის თხილი, კრემი, მასკარპონე, თუ ჯემი: „თუ გნებავთ დარწმუნდეთ, მიკროსკოპს მოგიტანთ“. შეგვიძლია, დადასტურებით განვაცხადოთ, რომ დიდი მოცულობის ტკბილეულის, „ლუიზონას“ ეპოქის შემდეგ, პროგრესულად მცირდება საკონდიტრო ნაწარმის ანატომია. გამოთვალეს, რომ თუ ასეთი რიტმით გაგრძელდება, ერთი ნამცხვარი მალე გახდება ერთი ბაქტერიის ხელა და თორმეტი ათასი ლირა ეღირება.

ბ. გამოსულების წახემსება: ბარის ბუფეტი დახუნძლულია კაპარით, კარტოფილის ჩიფსებით, ზეთისხილით, პოპკორნით, ფისტებით, თხილი ქეშიუთი, პატარა პიცებით, ტორტებით და კიტრის პიკულებით, ეს უკანასკნელი გამოსულების საყვარელი ულუფაა. აქ ლაპარაკი არაა უბრალო, ბანალურ წახემსებაზე, არამედ, წასვეტებაზე, აქ ყველაფერი ორიგინალურია და არაფერი აქვს საერთო ჩვეულებრივ ბართან. მაგალითად, ზეთის ხილი, განსაკუთრებულია: იასამნისფერი, მუქი ლურჯი ან ბენზინისფერი ლურჯი და კვერცხივით დიდია. კაპარებს თავკომბალასებური კუდი აქვთ. კარტოფილის ჩიპსები პიკანტურია, პოპკორნი კი, – ვეგეტარიანული, ვულგარული მორტადელა ფერადოვან, პატარა ქოლგაზე კუბიკებადაა ასხმული და ამგვარადაა გაკეთილშობილებული. შემდეგ, მოდის სხვადასხვაგვარად მორთული მიკროსენდვიჩები, თავისი საწებლითა და სასვენი ნიშნის ხელა ორაგულით, ფურთხისხელა პიურით, საწებლის იდიოგრამებით, სოკოს აჩრდილებით. ეს პატარა ხელოვნების შედევრები კლიენტების სიხარულის წყაროა, მაგრამ ბარმენების გასაჭირი, რომლებიც ბუფეტს აკონტროლებენ. ნეტა, ეს პიცა ვურსტერულმა სოუსმა გააწითლა თუ ვინმეს ცხვირიდან სისხლი წასკდა? სენდვიჩზე, კლიენტს რომ ხელში უჭირავს, სიგარეტის ნამწვი აგდია თუ ბოსტნეულის მარცვალი? ეს კურკლის ხელა მოგრძო ორცხობილა, ამ ბატონმა იატაკიდან რომ აიღო და თეფშზე დადო, კიტრის პიკული იყო თუ იმ ბომჟის ჩასვრილი?! აი, იმისა, დამნაშავის სახე რომ ჰქონდა....

გ. ყავა არასოდესაა ყავა. მას ქვია „კრემი“, „საზაფხულო კრემი“, „პარიზული“, „ამერიკული“, „ყავისფერი“, „ფრანგული“. მოგართმევენ ყოველთვის პატარა ფინჯნით, გაზიანი წყლით, მოაყოლებენ თორმეტი სახეობის დამატკბობელ საშუალებას, პანდას ბამბუკის შაქრის ჩათვლით, მარათონელების სახარინს და ბერების დამზადებულ ფუტკრის თაფლს.

დ. ზრდილობის საკითხს სვეტების ბარში ენთუზიაზმით ეკიდებიან და ამას ისეთი ექსპრესიულობით გამოხატავენ, ეჭვი გაგიჩნდება ადამიანს. შემსვლელი, როდესაც ნაცნობს თვალს მოჰკრავს, მიუხედავად იმისა, რომ წინა საღამოს დაემშვიდობა, სიხარულისგან ყვირის, თითქოს ათი წელია არ ენახოს. აქ ყველაფერი მოსულა – მამაკაცებს შორის ხელის მხარზე დარტყმიდან დაწყებული ყვერებზე მოთათუნებით დამთავრებული, ქალებს შორის სულმოუთქმელი ლაპარაკი და გადაკოცნები. ვიდრე პირველ ნაცნობს მიესალმებიან და გადაჰკოცნიან, ამასობაში, მეორე ხელით მეორე ნაცნობს ანიშნებენ და მესამეს თვალს უკრავენ. რაღაც აუხსნელი უცნაურობის გამო, ეს სითბოსა და სიყვარულის გამომხატველი ჟესტები აკომპანირებულია სახუმარო ხასიათის ეპითეტებით: „შე მახინჯო ნაბიჭვარო!“, „აჰ, შენც მოხვედი, ბებერო პიდარასტო?!“, „შე დამპალო, სად დაიკარგე?“, ან „შე ჩათლახო, აქ საიდან გაიჩითე?!“

ამ დიდი ზრდილობის თეატრის მიზანი, რა თქმა უნდა, ყურადღების მიქცევაა, აი, მეც მოვედი და ნახეთ, რამდენ ხალხს ვიცნობო. ვაი, იმას, ვინც სვეტების ბარში შევა, პირდაპირ სალაროსკენ წავა, არავის მიესალმება და არც მას მიესალმებიან. ვინაა? რას წარმოადგენს? პიტნის კამფეტების გამყიდველია თუ უარესი? ალბათ, ვიღაც გოიმია და აქ გაჩითვას ცდილობს. სვეტების ბარის ნამდვილი წევრის ჩვეულება არამარტო ხმამაღალი მისალმება, ან აღელვებისაგან ცრემლების ფრქვევა, არამედ, ხელის ისე ჩამორთმევაცაა, ძვლების ჭახაჭუხის ხმა რომ გაისმას, მერე, რომელიმე კუთხისაკენ გეზის აღება და იქ თავის ნაცნობთან, დამსწრე საზოგადოების მიმართ სიძულვილის ერთბაშად გამოხატვა, გამოტყდომაა, რომ ამ აფერისტულ გამოსვლებს ვერ იტანს, ბეზრდება ყოველ საღამოს ამ ბარში მოსვლა. აი, მანჰეტენის თუნდაც მარბელას ბარში კი, სულ სხვა ატმოსფეროა.

ე. მოტორთან დამოკიდებულება: როგორც ჩანს, ბარის კლიენტებს, რაღაც წყევლამ აიძულათ, უარი ეთქვათ ბარში ფეხით სიარულზე. ამიტომ ბარის წინ ადვილად გავიგონებთ სკუტერების ხმაურს, რომლებზეც გოგო-ბიჭები არიან გაწოლილები და მოტოციკლის სკამებზე მსხდომნი ესაუბრებიან ერთმანეთს... დიდი მოტოციკლეტების მხარეს, ტყავის სპორტულებში გახვეული, ოცდაათიდან სამოც წლამდე ტიპები შედიან. ისინი ყველაზე გამხდრები არიან და ადამიან ობობას ჰგვანან, ხოლო უფრო ჩამრგვალებულები კი, – სტომატოლოგიური კაბინეტის სავარძელს. ქალები მოტოციკლის შლემიდან უხვი ნაკადით უშვებენ თმას და ელვას ოსტატურად იხსნიან – ასე შიშველი კანის და მკერდის სექტორის დემონსტრირებას ახდენენ. მანქანების სადგომის მხარე მეტალის ლაბირინთს წარმოადგენს, მაგმით არეულ მასას ჰგავს, სადაც ყველა ერთმანეთს ბლოკავს, მძღოლებს თავი მანქანის ფანჯრებიდან აქვთ გამოყოფილი და ერთმანეთს ყვირილით ესაუბრებიან, რადგან იქიდან გამოსვლა შეუძლებელია. ერთმანეთზე მიბჯენილი მანქანები ქვეითად მოსიარულეებისთვის გავლის შანსსაც კი არ იძლევა, მაგრამ მათ კიდევ სხვა მანქანები ემატებიან, ახლომდებარე ცარიელ სადგომს ცხვირს უბზუებენ და ურჩხულისებრი ავტოსადგომის ზომებს კიდევ უფრო ზრდიან.

სვეტების ბარის მოტოციკლის მფლობელ კლიენტებს შორის ყველაზე სახიფათონი არიან: 1. მყვირალა – მოტორს არასოდეს აქრობს, ხმამაღლა ლაპარაკობს, გაზს გარშემომყოფების თანდასწრებით ზრდის, სიტყვით გამოსვლისას მნიშვნელოვან ასპექტებს ხაზი რომ გაუსვას, მოტოციკლით სახიფათოდ მანევრირებს და თან სინათლის ფარებს საჭირო მომენტებში ანთებს. 2. სადომაზოხისტი – იდიოტი სვეტი, რომელსაც მანქანის გაჩერება უხილავ ადგილებში უყვარს, ასე ბლოკავს ტაქსის მოძრაობას, გაჭყლეტს პატარა მოტოციკლ „ვესპას“, სადარბაზოს კარს უკანმოუხედავად დაეტაკება, მართალია, ჩადენილ დანაშაულს აცნობიერებს, მაგრამ შურისძიებისათვის მაინც მზადაა. ამიტომ ბარის შესასვლელში, პოლიციელის მოლოდინში, კარისკაცად დგას და საჩხუბრად მოტოციკლივითაა მომართული. სანამ ელაპარაკებით, მისი მზერა სხვაგან მიჰქრის, მთელი კონცენტრაცია ახლა იმისკენ აქვს მომართული, მტერი, მისი დაჯარიმების მიზნით, როდის შემოვა, ან მანქანის გადაყენებას როდის მოსთხოვს. აი, მაშინ კი მიეცემა შანსი, იჩხუბოს, მერე დაწყნარებული დაბრუნდება, მიუხედავად იმისა, რომ მანქანა უარესად გადააყენა. 3. ოკუპანტი – იგივე ტიპის მძღოლია, მხოლოდ ახლა მოტოციკლის. კმაყოფილების მწვერვალს მაშინ აღწევს, თუ ბარის შესასვლელთან, მოტოციკლით, რაც შეიძლება ახლოს მივა. ამ მიზნით, სხვა მოტოებს შორის სახიფათოდ გასრიალდება, ფეხებზე გადაუვლის ხალხს, მათ გარღვევას შეეცდება და არ მოისვენებს, სანამ ბორბალს ზუსტად სასურველ ზღურბლზე არ დააყენებს. ყველაზე მძიმე შემთხვევების დროს მოტოციკლით ბარში შედის და მას ბუფეტთან აყენებს. უფრო უარესი კი, ორ შემთხვევაში ხდება: როცა ბარს ანგარიშის გამოსართმევად ოთხმოცით გადაჭრის, ან როცა უნიტაზის მოსაძებნად მოტოციკლით დაბლა სართულზე ეშვება. 4. სკუტერის ლოკოკინები – ეს ქმნილებები ყველაზე საყვარლები არიან, თან ყველაზე შეუპოვრებიც. საქმე ეხება ორ ახალგაზრდა წყვილს, თოთხმეტიდან თვრამეტ წლამდე, ისინი გოგონას, ან ბიჭის პატარა მოტოციკლის, ვესპას სკამზე კამასუტრა– კასტროლის პოზაში სხედან, ეს მხოლოდ მათ ასაკშია შესაძლებელი, ერთმანეთს დაუსრულებელი კოცნით არიან მიწებებულნი და გამვლელები არც აინტერესებთ. ასე ექვი-შვიდი საათიც შეუძლიათ დარჩნენ, ცხვირიდან სუნთქავენ და მხოლოდ სამ შემთხვევაში ჩერდებიან:

ა. თუ რომელიმეს მშობელი ერთმანეთისგან მოტოციკლის რკინის იარაღით გააცალკევებთ.

ბ. თუ მოტოციკლი წაიქცევა.

გ. თუ სიყვარულის ისტორია დასრულდება და დაშორდებიან, რადგან კოცნის დროს მაინც ახერხებენ ლაპარაკს და ხანდახან ჩხუბსაც.

ვ. თმის შეღებვა – სვეტების ბარში არავის აქვს ნატურალური ფერი, გარე დამკვირვებელი იფიქრებს, რომ ფანტასმაგორიულ ფილმშია. მამაკაცები სოლარიუმში, გარგარისფერ, ან ხბოს ტონებში არიან გარუჯულნი, მუქი ფერის თვალები, ვარდისფერი, ან მწვანე ბარდასფერი საკონტაქტო ლინზებით აქვთ დამშვენებული, გელით გაპოხილი თმა კი, ბარის ჭერის ფერებს ირეკლავს.

ორცხობილასფერი ქალები ალეწილები, ან სოლარიუმის ლამფის გავლენით, ანდა კარაიბის სანაპიროს ეფექტით არიან, ვარდისფერ, ან მომწვანო ტუჩებზე, უცნაურად გასხივოსნებული სილიკონის შებერილობები აღენიშნებათ. თმა ქერა, მოთეთრო, ყვითელი ფერის მიქსია და შავი ფერის ტანსაცმელზე ეფინებათ.

ზ. ანიმატორ-გამრთობი გასტონე – ყველა სვეტურ ბარში არის კაცი, რომელსაც გასტონე ანიმატორ-გამრთობად მოვიხსენიებთ, მას კომენტარების გაკეთება ხმამაღლა უყვარს, ყველაფერი იცის, რაც გასულ ღამეს მოხდა და საღამოების ორგანიზებას ყოველთვის საკუთარ თავზე იღებს. უცნობია, ეს მისი მოწოდებაა, სხვა საქმე ვერ გამონახა თუ ფულს ტურისტული სააგენტო უხდის, თუმცა მისი ძალისხმევა მნიშვნელოვანი და მეთოდურია, მიმართული კოლექტიურ მონაწილეობასა და მაქსიმალური გართობის მიღებისაკენ.

გასტონეს პროგრამების მაგალითები:

ა. ცხრა საათისთვის ბართან შევიკრიბოთ, აპერიტივი დავლიოთ, მერე, რესტორანში წავიდეთ, მაგრამ მანამდე დავჯავშნოთ, ამიტომ ჯერ სახლში დავბრუნდეთ, კარლეტო დაჯავშნის, მერე, ყველას გააფრთხილებს და მერე, აქ ბარში, თერთმეტი საათისთვის, მეორე შეხვედრა დავთქვათ და აქედან რესტორანში წავიდეთ, რესტორნიდან ტიტის დავურეკოთ, ვკითხოთ, ჩვენ დაგვეწევა თუ სხვა რესტორანი აქვს დაჯავშნილი, აქედან გამომდინარე, ან იმ ახალ რესტორანში გადავიდეთ, ან დავრჩეთ, სადაც ვიქნებით და იქიდან ტიტის დავურეკოთ, ის გვეტყვის, რამე ივენთი ხომ არ ეწყობა იქ. აქ პირველ საათზე შევხვდეთ და ტიტის დავეწიოთ იმ ივენთზე და თუ ივენთი არაა, მაშინ ტიტი ორი საათისთვის ჩვენთან მოვა, რომ შევთანხმდეთ, ივენთს სად მოვაწყობთ, მერე, აქ შევხვდეთ ოთხი საათისთვის და წავიდეთ.

ბ. ბარში, რესტორანში წასასვლელად, რომელიც ქალაქგარეთაა დაჯავშნილი, ათი საათისთვის შევხვდეთ, იქ ათიოდე მანქანით გავემგზავროთ, ამას კარლეტო უხელმძღვანელებს, ტიტის გავუაროთ და წავიყვანოთ, მას თავისი მეგობრები უკვე შეკრებილი ეყოლება, შემდეგ, ოციოდე მანქანით აქ დავბრუნდეთ, შუაღამისას და თუ ვინმე ჩამოგვრჩება, ბარში შემოგვიერთდება, შემდეგ, პირველ საათზე მოდენას ავტოსტრადის დასაწყისთან, მალდივის ჯგუფიც შემოგვიერთდება თავისი ავტოკოლონით, რუკის დახმარებით მოგვიწევს წასვლა, რადგან რესტორანი შუაგულ სოფელშია, უკვე ნაჭამები რომ ვიქნებით, ყველა შევიკრიბოთ და ორმოციოდე მანქანით წავიდეთ კლაუდიოს მეგობრებთან შესახვედრად, რომლებიც ზღვაზე მოწყობილ ივენთზე დასასწრებად მოტოციკლებით არიან შეკრებილნი. ვინც შეხვედრაზე დააგვიანებს, ოთხ საათზე ტიტის სახლშია შეხვედრა დანიშნული, მაგრამ რადგან იქ მანქანის სადგომი არაა, მაგანიოლი გადამზიდავი კონვეიერით მოვა და ყველა მანქანას წაიყვანს და ხვალ დილას, რვა საათზე რიმინის გადასახვევთან დაგვიბრუნებს.

გ. აქ, ბარში, შუაღამისას შევხვდეთ და კარლეტოს დაველოდოთ – კუბიდან თვითმფრინავით ბრუნდება ახალი კიბორჩხალებით, მერე, ლუიზასთან წავიდეთ, ის პარიზიდან ახალ დაბრუნებულ კოლეტს ელოდება, რომელმაც მაიონეზი ჩამოიტანა და თუკი დააგვიანდებათ, გზაში ბუტერბროდი შევჭამოთ და ვინც ბოლო დაბრუნდება, ტიტი სახლამდე უნდა გააცილოს და გაჟიმოს, რადგან მისი დაბადების დღეა.

დ. აქედან ყველა ტიტისთან მივდივართ, სახლში, სანრემოს ვუყურეთ და თან დედაჩემი ნამცხვარს გამოგვიცხობს.

მთარგმნელი ქეთევან ჩარკვიანი

წლის სიტყვა დაასახელეს

ინგლისური ენის ოქსფორდის ლექსიკონმა 2021 წლის სიტყვად – vax დაასახელა. წელს მას 72-ჯერ უფრო ხშირად იყენებდნენ, ვიდრე შარშან. წელს, მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობამ კორონავირუსის საწინააღმდეგო მასობრივი ვაქცინაცია დაიწყო, ამიტომაც სულ უფრო ხშირად იყენებდნენ იმუნიზაციასთან დაკავშირებულ ტერმინებს. სიტყვა – vax შეიძლება იყოს, როგორც არსებითი სახელი, ასევე ზმნაც – „ვაქცინა“ ან „ვაქცინაცია“, რომელთა ძირია – vax.

გასულ წელს, ოქსფორდის ლექსიკონმა ვერ შეძლო „წლის სიტყვა“ შეერჩია ანუ ერთი, კონკრეტული სიტყვა ვერ დაასახელა და ამიტომ, სია შეადგინა. მასში შევიდა ისეთი სიტყვები, როგორებიცაა: „კორონავირუსი“, „იმპიჩმენტი“ და „ტყის დამანგრეველი ხანძრები“ (bushfire).

ბევრი შაქარი ტვინს ანადგურებს

დიდი რაოდენობით შაქრის მოხმარება ტვინს ანადგურებს – ამის შესახებ ავსტრალიელმა სწავლულებმა განაცხადეს. მათ ექსპერიმენტები ჩაატარეს ლაბორატორიულ მღრღნელებზე, რომლებიც სამ ჯგუფად დაყვეს. პირველი ჯგუფის წევრებს საკვებში დიდი რაოდენობით შაქრის სიროფი დაუმატეს, მეორე ჯგუფს შაქარს არ აძლევდნენ და მუდმივად სტრესულ სიტუაციაში ამყოფებდნენ, ხოლო მესამე ჯგუფის თაგვები ტკბილსაც იღებდნენ და ამავდროულად, სტრესის ქვეშაც იყვნენ.

რამდენიმე კვირის შემდეგ, პირველი და მეორე ჯგუფის ცხოველების ტვინში გარკვეული ცვლილებები დააფიქსირეს, ხოლო მესამე ჯგუფს ცენტრალური ნერვული სისტემის დეგენერაცია დაუდგინდა – ამან მღრღნელების ფიზიოლოგიაზეც იმოქმედა. მკვლევარებმა დაასკვნეს, რომ საკვებში დიდი რაოდენობით შაქრის არსებობა სტრესივით მოქმედებს და სისხლში შესაბამისი ჰორმონების რაოდენობას ზრდის. ამის შედეგად, ხშირდება გულისცემა, ხოლო ტვინს გაძლიერებული რეჟიმით უწევს მუშაობა, რაც საბოლოოდ, ნერვული უჯრედების დაშლას იწვევს.

მასკის ქონებამ 300 მილიარდს გადააჭარბა

Tesla-სა და SpaceX-ის დამფუძნებელი ილონ მასკი პირველი ადამიანი გახდა ისტორიაში, რომლის ქონებამაც 300 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. Forbes-ის შეფასებით, მას 315 მილიარდი აქვს, Bloomberg-ის დათვლით კი, უფრო მეტი – 335 მილიარდი. ბოლო თვეების განმავლობაში, მასკი Tesla-ს აქციების კოტირებით მდიდრდება. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც გაცხადდა, რომ ის 100 000 ელექტრომანქანას მიაწვდის ავტომობილების გაქირავების კომპანია Hertz-ს.

რამდენიმე დღის წინ, გაეროს სასურსათო პროგრამის აღმასრულებელმა დირექტორმა ვარაუდი გამოთქვა, რომ მულტიმილიარდერის ქონების 2%-იც (ექვსი მილიარდი დოლარი) კი საკმარისი იქნება, რათა მსოფლიოში შიმშილის პრობლემა გადაიჭრას. აღმოჩნდა, რომ მასკი თანახმაა, ამ ოდენობის თანხა გაიღოს, თუ ეცოდინება, რა მიზნებისთვის დაიხარჯება ის. თუ ასეთი ფაქტი დაფიქსირდება, ქველმოქმედებისთვის გაღებული ეს ყველაზე დიდი თანხა იქნება მსოფლიოში.

ტრანსპორტზე „კლიმატბილეთი“ შემოიღეს

ავსტრიაში ერთიანი წლიური სამგზავრო აბონემენტი ამოქმედდა, რომელსაც Klimaticket ქვია. ქვეყნის ხელისუფლების ეს ინიციატივა კლიმატის ცვლილების ბრძოლისკენაა მიმართული. კერძოდ, ვარაუდობენ, რომ ეს პროექტი კერძო ტრანსპორტიდან გამონაბოლქვს შეამცირებს. ავსტრიის მოქალაქეებს უკვე შეუძლიათ შეიძინონ „კლიმატბილეთი“, რომელსაც ავსტრიის მთელ ტერიტორიაზე, ყველანაირ საზოგადოებრივ ტრანსპორტში გამოიყენებენ, მათ შორის, საქალაქო ტრამვაიში, ავტობუსებსა და კერძო რკინიგზაზეც კი.

წლიური აბონემენტის ღირებულება 1095 ევროა ანუ ერთი კვირის მგზავრობის საფასური 21 ევრო გამოდის, ერთი დღის – 3 ევრო. 25 წლამდე ახალგაზრდებისა და პენსიონერებისთვის ფასდაკლება მოქმედებს – ამ კატეგორიის ავსტრიელებისთვის წლიური აბონემენტი 921 ევრო ეღირება. როგორც ექსპერტები ამბობენ, „კლიმატბილეთის“ უპირატესობა ისაა, რომ მას ყველა სახეობის ტრანსპორტში გამოიყენებენ და მგზავრებს რამდენიმე ბილეთის ყიდვა აღარ მოუწევთ. სავარაუდოდ, შემცირდება კერძო ავტომობილებით გადაადგილება და გაიზრდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის მგზავრთა რიცხვი.

სილიკონის ქალიშვილები გაიჩინა

63 წლის ჩინელი პენსიონერი, იუი ჩუენგო სილიკონის თოჯინებს საკუთარ ქალიშვილებად აღიარებს. მამაკაცმა მანეკენების კოლექციის შეგროვება 2014 წლიდან დაიწყო. გავრცელებული მოსაზრების მიუხედავად, ის თოჯინებს სექს-სათამაშოებად არ იყენებს. პენსიონერი მათ მართლაც შვილებივით ექცევა, აღნიშნავს მათ „დაბადების დღეებს“ და სამოგზაუროდაც მიჰყავს. ბოლო შვიდი წლის განმავლობაში, მამაკაცმა „ქალიშვილების“ ჩაცმაზე, დაახლოებით, 6.2 ათასი დოლარი დახარჯა.

სილიკონის თოჯინები ნამდვილებივით გამოიყურებიან, ამიტომაც პენსიონერი წარმოიდგენს, რომ ცოცხალი ადამიანების გარემოცვაშია. იუის საკუთარი შვილი, ვაჟიც ჰყავს, რომელიც არ ეწინააღმდეგება მამის ამ უცნაურ ახირებას. მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცს ინტერნეტ-სივრცეში ხშირად კიცხავენ ამ უჩველო ჰობის გამო, მას ეს დიდად არ აღელვებს და ყურადღებას არ აქცევს. პენსიონერი დარწმუნებულია, რომ ყველა ადამიანს საკუთარი ცხოვრება აქვს და შეუძლია ის გააკეთოს, რასაც საჭიროდ ჩათვლის.

საუკეთესო ქვეყანა ქალბატონებისთვის

პლანეტაზე ასეთ ქვეყანად დანია დასახელდა. შესაბამისი რეიტინგი US News & World Report-მა მოამზადა. ასეთი პატივი დანიას იმის გამო ხვდა წილად, რომ აქ გენდერული თანასწორობის პრობლემა თითქმის აღარ არსებობს. სიაში მეორე ადგილს შვედეთი იკავებს, სადაც ხელისუფლება დიდ ძალისხმევას მიმართავს, რათა ქალებსა და მამაკაცებს შორის უთანასწორობა აღმოფხვრას. მესამე საფეხურზე კანადაა, სადაც ქალების უფლებების დაცვა საგარეო და საშინაო პოლიტიკის ნაწილი გახდა. შემდეგ ნიდერლანდები მოდის – ამ ქვეყანაში წარმატებით მიმდინარეობს სამუშაოები გენდერული სხვაობის შესამცირებლად ჯანდაცვაში, განათლებაში, ეკონომიკასა და პოლიტიკაში.

ლიდერთა ხუთეულშია ავსტრალიაც. ბოლო წლების განმავლობაში, „მწვანე კონტინენტზე“ სულ უფრო მეტი სუსტი სქესის წარმომადგენელი იკავებს ხელმძღვანელ თანამდებობებს, თუმცა, ამავდროულად, ავსტრალიელმა ქალებმა წელიწადში 66 დღით მეტი უნდა იშრომონ, რათა იმდენივე გამოიმუშაონ, რამდენსაც მათი კოლეგა-მამაკაცები. სტატისტიკის მიხედვით, მსოფლიოს მასშტაბით, დასაქმებული ქალის ხელფასი წელიწადში, საშუალოდ, 11 ათას დოლარს აღწევს, კაცებისა კი – 21 ათას დოლარს.

სიყვარული გენეტიკურად განსხვავებულებს აკავშირებს

ბრაზილიელმა სწავლულებმა პარანას უნივერსიტეტიდან გაარკვიეს, რომ ადამიანები პარტნიორებად ირჩევენ მათ, რომელთა გენომის ორგანიზაციაც საკუთარისგან განსხვავებულია. გამოკვლევამ აჩვენა, რომ მეუღლეების დნმ-ები უფრო ხშირად განსხვავდება, ვიდრე შემთხვევითი პარტნიორების. სპეციალისტებმა 90 ცოლ-ქმრისა და შემთხვევით ამორჩეული 152 საკონტროლო წყვილის გენეტიკური მონაცემები შეადარეს.

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ დაქორწინებული ადამიანების გენომი (ჰისტოშეთავსების მთავარ კომპლექსში, რომელიც გავლენას ახდენს შთამომავლობის ჯანმრთელობაზე) უფრო მეტად განსხვავდებოდა, ვიდრე შემთხვევით არჩეული პარტნიორებისა. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ დიდი ალბათობით, სწორედ ასე ავლენს თავს განსაკუთრებული ევოლუციური სტრატეგია, რომელიც ჯანმრთელი მემკვიდრეების გაჩენის გარანტიას იძლევა. თუმცა, მკვლევარები ვერ გარკვეულან, რა სიგნალები იზიდავს ერთმანეთთან გენეტიკურად განსხვავებულ ადამიანებს. შესაძლოა, აქ მნიშვნელოვან ფუნქციას სხეულის სუნი და სახის სიმეტრია ასრულებს.

ავიკომპანია თოჯინებს მოემსახურება

ტაილანდური ავაიაკომპანია Thai Smile Airways აცხადებს, რომ თვითმფრინავის ბილეთებს ნატურალური ზომის თოჯინებზეც გაყიდის და მათ ისევე მოემსახურება, როგორც ნამდვილ მგზავრებს. თოჯინებს საჭმელსა და სასმელსაც შესთავაზებენ, მაგრამ მათ ეკრძალებათ საავარიო გასასვლელთან ჯდომა. იმ შემთხვევაში, თუ სათამაშოს მფლობელი მისთვის ბილეთს არ იყიდის, ის ხელბარგად ჩაითვლება. თვითმფინავის აფრენა-დაფრენისას, თოჯინებსაც აუცილებლად უნდა ჰქონდეთ შეკრული უსაფრთხოების ქამრები.

საუბარია, ეგრეთ წოდებულ, „ანგელოზის შვილზე“ – Luk Thep-ის თოჯინებზე, რომელიც ბოლო დროს, ძალიან პოპულარულია ტაილანდში. მათი ღირებულება ხშირად რამდენიმე ასეულ დოლარს აღწევს. ტაილანდელებს სჯერათ, რომ სათამაშოებში ანგელოზი-ბავშვების სულებია და თუ მათ მოუვლიან, ეს წარმატებას მოუტანთ. მფლობელები თოჯინებისთვის ცნობილი ბრენდების ტანსაცმელსა და სხვადასხვა, ძვირადღირებულ აქსესუარსაც კი ყიდულობენ.

მწვანე ჩაი სიმსივნეს იწვევს?

ამერიკელმა სწავლულებმა, რომლებიც ონკოლოგიურ დაავადებებს იკვლევენ, ცოტა ხნის წინ, სენსაციური აღმოჩენა გააკეთეს. გაირკვა, რომ დიდი რაოდენობით მწვანე ჩაი არც ისე სასარგებლო ყოფილა და თურმე, სავსებით შესაძლებელია, რომ მან სიმსივნე გამოიწვიოს. მეცნიერების განცხადებით, მწვანე ჩაის ეს თვისება იმით არის გამოწვეული, რომ მას შეუძლია სპეციალური გენის – p53-ის რაოდენობა გაზარდოს, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ყველა ონკოლოგიურ დაავადებას. მოკლედ, მწვანე ჩაი, ერთდროულად, სასარგებლო და საზიანოც ყოფილა. მხოლოდ მისი ზომიერი მიღება მოუტანს სარგებელს ორგანიზმს, ჭარბი რაოდენობა კი კიბოს გაჩენას უწყობს ხელს.

ყველაზე იშვიათი მინერალები

სპეციალისტებმა ახალი კატალოგი გამოაქვეყნეს, რომელშიც დედამიწაზე ყველაზე უფრო იშვიათი მინერალებია აღწერილი. ზოგიერთი მათგანი იმდენად იშვიათია, რომ მათი მარაგები მთელ მსოფლიოში შაქრის ნატეხის ზომას არ აჭარბებს. კატალოგის ერთ-ერთი ავტორი, რობერტ ჰეიზერი გვირჩევს, საყვარელი ადამიანისთვის ბეჭდის არჩევისას დავივიწყოთ ბრილიანტები და უპირატესობა, მაგალითად, სარდინიულ იკნუზაიტს მივანიჭოთ. ეს მინერალი ერთადერთი ეგზემპლარის სახით არსებობს – ის თეთრი ფერის კრისტალია, რომელიც კუნძულ სარდინიაზეა აღმოჩენილი. მეცნიერების თქმით, დღეისთვის დედამიწაზე, დაახლოებით, ხუთი ათასი სახეობის მინერალია ცნობილი, მაგრამ მათგან მხოლოდ 100 ელემენტამდეა ყველგან გავრცელებული.

ტვინის გამაახალგაზრდავებელი პრეპარატი შექმნეს

ამერიკელმა სწავლულებმა კალიფორნიის უნივერსიტეტიდან, აღმოაჩინეს, რომ ექსპერიმენტულ პრეპარატ ISRIB-ის სულ რამდენიმე დოზა, მღრღნელებში გონებრივი უნარებისა და ასაკობრივი მეხიერების გაუარესებას „უკან აბრუნებს“. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ კვლევებისას, ამ პრეპარატმა ქალა-ტვინის ტრავმიდან მეხსიერების ფუნქცია რამდენიმე დღეში აღადგინა, დაუნის სინდრომის დროს – კოგნიტური დარღვევები აღმოფხვრა, ხოლო ხმაურის გამო სმენის დაკარგვა სრულად აღკვეთა. გარდა ამისა, პრეპარატს აქვს უნარი, შეებრძოლოს პროსტატის კიბოს რამდენიმე სახეობას და გააუმჯობესოს კოგნიტური ფუნქციები ჯანმრთელ თაგვებში. კვლევების მონაცემები აჩვენებს, რომ დაბერებული ტვინი სამუდამოდ არ კარგავს ძირითად კოგნიტურ უნარებს.

ვაქცინა კბილების დაავადებების წინააღმდეგ

ავსტრალიელმა სწავლულებმა მელბურნის უნივერსიტეტიდან, ახალი სტომატოლოგიური ვაქცინა წარადგინეს, რომელსაც შეუძლია შეამციროს მოთხოვნა ანტიბიოტიკებსა და ქირურგიულ ჩარევაზე კბილებისა და ღრძილების დაავადებების დროს. ავსტრალიელი მკვლევარები ამ თემაზე 15 წლის განმავლობაში მუშაობდნენ. სწორედ ამის შედეგია ვაქცინა ქრონიკული პერიოდონტიტის წინააღმდეგ. ამ ანთებითი პროცესისას, ირღვევა ნერვებთან ახლოს მყოფი ღრძილების ქსოვილები და კბილების ფესვების გარსი, რაც დაჩირქებასა და სისხლდენას იწვევს და ძლიერი ტკივილით ხასიათდება. დაავადება თითქმის ყველა ასაკობრივ კატეგორიას მოიცავს.

სტატისტიკის მიხედვით, ავსტრალიაში ყოველ მესამე მოზრდილ ადამიანს აწუხებს პერიოდონტიტი, 65 წელს გადაცილებულებში კი – ნახევარზე მეტს. ლაბორატორიულ თაგვებზე ჩატარებულმა ვაქცინის ცდებმა, რომელიც აშშ-სა და „მწვანე კონტინენტზე“ ჩატარდა, დადებითი შედეგი გამოიღო. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ კლინიკური ცდები მოხალისეებზე უკვე მომავალი წლის დასაწყისიდან დაიწყება. მეცნიერები იმედოვნებენ, რომ მათი გამოგონება მილიონობით ადამიანს დაეხმარება.

ნეგატიური ემოციები კენჭებს აჩენს?

ძლიერი ემოციური განცდების გამო, შესაძლოა, თირკმელში კენჭები წარმოიშვას – აცხადებენ ამერიკელი მეცნიერები. მათ კვლევებში მონაწილეობა 400-მა მოხალისემ მიიღო. გაირკვა, რომ პაციენტები, რომლებსაც ეს დაავადება აწუხებდა, სამჯერ მეტად ჩიოდნენ საყოფაცხოვრებო თემის კონფლიქტებზე, პრობლემებზე სამსახურში და მატერიალურ მდგომარეობაზე, ვიდრე ჯანმრთელი მოხალისეები. აღსანიშნავია, რომ დღეს, პლანეტის მოსახლეობის 10%-ს აქვს თირკმელში კენჭები. თანაც, ეს დაავადება მამაკაცებში სამჯერ უფრო ნაკლებად გვხვდება, ვიდრე სუსტი სქესის წარმომადგენლებში.

ანტიკორონავირუსული ქაღალდი შექმნეს

ჩეხმა მკვლევარებმა ანტივირუსულ ქაღალდზე მუშაობა ხუთი წლის წინ დაიწყეს. კორონაზე მაშინ არავინ არაფერი იცოდა და სურდათ, ანტიბაქტერიული პროდუქტი მიეღოთ. მასზე დიდი მოთხოვნა იყო „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში, სადაც სურდათ შეეცერებინათ დაავადებები, რომელიც ფულით, ბილეთებითა და სხვა მსგავსი ნივთებით გადადიოდა. კორონავირუსის გამოჩენის შემდეგ, სწავლულებმა საკუთარი გამოგონების მოქმედების სპექტრის გაფართოება გადაწყვიტეს. მათ აღამოაჩინეს სპეციალური შემავსებელი – თუთიისა და ვერცხლის ნანოსტრუქტურული კომპლექსები. ისინი მოქმედებენ ქაღალდის გამოყენების სრულ პერიოდში, არ გამოიდევნებიან მისგან და სრულიად უსაფრთხოა ადამიანის კანთან ზემოქმედებისას.

საბოლოოდ, დახვეწილ ქაღალდს Anticovid უწოდეს. ის ერთ წუთში აქრობს არა მხოლოდ ბაქტერიების 99%-ს, არამედ, 10 წუთის განმავლობაში კლავს 70% კორონავირუსს, მთლიანად კი – ნახევარ საათში ანადგურებს. სწავლულები ახლა ცდილობენ, რომ 10 წუთში, ვირუსის 100%-იან განადგურებას მიაღწიონ.

ფინჯანი ყავა მთელი დღით გაგამხნევებთ

სამწუხაროა, რომ ერთი ფინჯანი ყავით მიღებული მხნეობა ძალიან სწრაფად ქრება. კომპანია „ნესტლე“ უკვე რამდენიმე წელია მუშაობს ამ პრობლემაზე და ისეთი ყავის შექმნას ცდილობს, რომელსაც დამატებითი ეფექტიც ექნება. ციურიხის უნივერსიტეტის სწავლულებმა, „ნესტლეს“ სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან ერთად, ყავის ახალი რეცეპტურა შეიმუშავეს. ახალი რეცეპტით მომზადებული ერთი ფინჯანი გამამხნევებელი სასმელი ადამიანზე დილიდან საღამომდე იმოქმედებს.

ახალი პროდუქტი, ეგრეთ წოდებულ, კუბოსომის ტექნოლოგიაზეა დაფუძნებული ანუ ცხიმისა და წყლის სტრუქტურებზე, რომლებიც ნაწლავებში ნელ-ნელა იშლებიან და დროდადრო გამოათავისუფლებენ კოფეინს. გამომგონებელთა თქმით, ეს სიახლე საშუალებას მოგვცემს, დღეში ერთი ფინჯანი ყავით დავკმაყოფილდეთ და მას მაღალწნევიანი ადამიანებიც დალევენ. ჯერჯერობით, ხანგრძლივი მოქმედების ყავის ბაზარზე გამოჩენის დრო უცნობია – პროდუქტმა მრავალრიცხოვანი შემოწმება უნდა გაიაროს.

ნაღდ ფულზე უარს ამბობენ

შვედეთის ხელისუფლებას ქვეყანაში ნაღდი ფულის გამოყენებაზე უარის თქმა სურს, რისთვისაც ეროვნული ვალუტის – შვედური კრონის ციფრული ანალოგის შექმნაზე დაიწყეს მუშაობა. ფინანსთა მინისტრის განცხადებით, დაწყებულია მასშტაბური კვლევა, რომელიც 2022 წლისთვის დასრულდება – ამ დროისთვის შვედეთში უკვე ციფრული კრონა უნდა გაჩნდეს. აღსანიშნავია, რომ წელს, ნაღდი ფულის გამოყენების მაჩვენებელი ქვეყანაში მინიმუმამდე დაეცა და სულ 10% შეადგინა. ეს მსოფლიოში ყველაზე დაბალი სტატისტიკური მონაცემია.

ოფისის ხმაური შინ მომუშავეებისთვის



იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც პანდემიის გამო გამოცხადებული კარანტინის დროს, სახლში სამუშაო ატმოსფეროს შექმნა უჭირს, მათთვის სპეციალური საიტი გაიხსნა, რომელიც ოფისის ხმების იმიტაციას ახდენს. მას My Noiese ჰქვია. პლატფორმა მომხმარებელს საშუალებას აძლევს, თავად დაარეგულიროს ხმების სიძლიერე სამუშაო შენობაში. ასე, მაგალითად, შეგიძლიათ ხმამაღლა ჩართოთ, როგორც ადამიანების ხმები, ასევე კონდიციონერის, პრინტერის, საათის ან კლავიატურის კაკუნის ხმებიც კი. თუ ყველა საბაზისო ხმას ჩართავთ, კარადის გაღების ხმასაც გაიგებთ და იმასაც კი, როგორ „დაგორავს“ ვიღაც სავარძლით. ზოგიერთ ადამიანს ხმაურში მუშაობა არ შეუძლია, ზოგი კი პირიქით – ამის გარეშე ვერ ძლებს. „სამსახურის ჩვეული ხმაურის გარეშე, სამუშაოს შინ შესრულება ძალიან რთული საქმეა“, – ნათქვამია საიტზე.

საპატარძლოში დიდი თანხის გადახდა აკრძალეს

ჩინეთის ჰენანის პროვინციაში, საპატარძლოს გამოსასყიდად დიდი თანხის გადახდა, მის მონობაში გაყიდვას გაუთანაბრეს. ადგილობრივმა ხელისუფლებამ განჩინება გამოსცა, რომლის მიხედვითაც მზითევი, რომელსაც ჩინეთში გოგოს მშობლებს სიძის მხარე უხდის, 20 ათას იუანზე (3 ათასი დოლარი) ძვირი არ უნდა იყოს. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში, გამოძიება ჩატარდება, გარიგება კი ადამიანებით ვაჭრობად და თაღლითობად ჩაითვლება. ხელისუფლება დაარეგულირებს ქორწინების პროცესსაც: სუფრას, მის წევრებს და მანქანების რაოდენობას. ადგილობრივი ჩინოვნიკების თქმით, ასეთი ღონისძიებებით აღკვეთენ თაღლითობას, რომელიც პატარძლის დიდ გამოსასყიდს უკავშირდება.

ვირუსის მკვლელი აღმოაჩინეს

თუთიისა და კალის შემცველ კბილის პასტებს ორ წუთში შეუძლიათ კორონავირუსის 99.9%-ით ნეიტრალიზება – აცხადებენ ამერიკელი სწავლულები, რომლებმაც შესაბამისი კვლევები ჩაატარეს. მათი პროგრამის მიზანი იყო დაედგინათ, შეიძლებოდა თუ არა ვირუსის გავრცელების ტემპის შენელება პირის ღრუს მოვლის საშუალებების დახმარებით. გარდა კბილის პასტის აღმოჩენილი ეფექტისა, დადასტურდა სხვა კვლევებისას მიღებული ვარაუდებიც, რომ პირის ღრუს სავლები, ცეტილპირიდინის ქლორიდი, ნახევარ წუთში კლავს ვირუსს. სწავლულთა კვლევის შედეგები დადასტურდა კლინიკური ცდებითაც, რომელშიც კორონავირუსით დაავადებული 260 პაციენტი მონაწილეობდა.

ალკოჰოლი ყავის ნალექისგან

პორტუგალიის მინიუს უნივერსიტეტის სწავლულებმა უნიკალური სპირტიანი სასმელი შექმნეს. მისი განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ ყავის ნალექისგან აწარმოებენ ანუ იმ ნარჩენისგან, რაც დაფქვილი ყავის მოდუღების შემდეგ რჩება. აღსანიშნავია, რომ თავისი სიმაგრით, ეს სასმელი არაყს ან კონიაკს არ ჩამოუვარდება. ბაზარზე პროდუქტი იყიდება სახელწოდებით – „ალკოჰოლიანი ყავა“, მაგრამ სინამდვილეში, ის დისტილატია გამჭვირვალე ბრენდის სახით, 40% ეთანოლისა და არომატული ყავის შემცველობით.

თანამედროვე ლიქიორებისგან განსხვავებით, რომლებსაც ყავის მარცვლებისგან ამზადებენ, ახალი სასმელი ყავის ნარჩენებისგან მიიღება. თავად სწავლულები აცხადებენ, რომ მათი გამოგონება აბსოლუტურად უნიკალურია, აქვს „მაღალი კომერციული პოტენციალი“ და აქამდე, მისი მსგავსი, მსოფლიოში არაფერი შექმნილა. სასმელის ავტორებს იმედი აქვთ, რომ მათი გამოგონება დიდ პოპულარობას მოიპოვებს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.